


სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულ ჭრილში

გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)

დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI)

მხარდაჭერით

შინაარსი

1. შემაჯამებელი მიმოხილვა	2
2. გენდერული ბიუჯეტირების არსი და მნიშვნელობა.....	4
3. გენდერული ბიუჯეტირება საქართველოში	6
4. პროგრამების გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი - შესაძლებლობების მიდგომა.....	9
4.1 შესაძლებლობების მიდგომა.....	9
4.2 სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი.....	11
5. არსებითად მაღალი და მაღალი გენდერული მნიშვნელოვნების მქონე საბიუჯეტო პროგრამები.....	13
პრიორიტეტი: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.....	14
პრიორიტეტი: ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა	16
პრიორიტეტი: იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა.....	19
პრიორიტეტი: განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება.....	20
პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	24
პრიორიტეტი: ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	26
პრიორიტეტი: მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება	
27	
დანართი: არსებითად მაღალი და მაღალი გენდერული მნიშვნელოვნების მქონე პროგრამების ღონისძიებები და მონაცემები	29

1. შემჯავებელი მიმოხილვა

გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს გენდერული თანასწორობის ასპექტების ჩართვას ქვეყნის საბიუჯეტო პროცესში და საბიუჯეტო რესურსების ისეთ გადანაწილებას, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული პერსპექტივის¹ ინტეგრირებას ყველა სფეროში თუ სექტორში. აღსანიშნავია, რომ გენდერული ბიუჯეტირება არ გულისხმობს ქალთა და მამაკაცთათვის განსხვავებული ბიუჯეტის შედგენას ან ბენეფიციართა დაყოფას გენდერულ ჭრილში, არამედ იგი წარმოადგენს გენდერზე ორიენტირებული საბიუჯეტო პროცესის ფორმირებას, რაც გულისხმობს საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების შესაბამისობას გენდერული თანასწორობის მიმართულებით განსაზღვრულ პოლიტიკასთან. მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე გენდერული ბიუჯეტირების უნივერსალური მიდგომა არ არსებობს და გამოყენებული მიდგომა და ინსტიტუციური ჩარჩო, როგორც წესი, ეყრდნობა ქვეყნის სპეციფიურ მახასიათებლებს.

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული ბიუჯეტირების მიმართულებით ანალიზის კონკრეტულ მეთოდოლოგიას/მოთხოვნებს ამ ეტაპისთვის საქართველოს საბიუჯეტო ჩარჩო არ ითვალისწინებს, არსებული სარეკომენდაციო მითითებები მეტყველებს, რომ გენდერული ასპექტის გათვალისწინება განხილულია, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ერთ-ერთი კომპონენტი. კერძოდ, „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის N385 ბრძანება მიუთითებს: “პროგრამის სპეციფიკის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყოფილ იქნეს პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი”. შესაბამისად, მეთოდოლოგია იძლევა საფუძველს გენდერული ბიუჯეტირების წარმოდგენილი მიდგომის გამოყენებისათვის საქართველოს საბიუჯეტო მართვის პროცესში. აღნიშნული შესაძლებელია მიჩნეულ იქნას საქართველოს საბიუჯეტო სისტემისათვის გენდერული ბიუჯეტირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მექანიზმად, უზრუნველყოფს რა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გენდერული თანასწორობის კუთხით პოლიტიკის მიზნების მაქსიმალურ ინტეგრირებას საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე და პროცესის ყველა ეტაპზე, ამასთან, მინიმალური დამატებითი რესურსების გამოყენებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინება გულისხმობს: გენდერული თანასწორობის ერთიან პოლიტიკაზე დაყრდნობით ამ მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების მოსალოდნელი შედეგების/შედეგების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრას, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების გენდერული მნიშვნელოვნების ხარისხის შეფასებას, მაღალი გენდერული მნიშვნელოვნების პროგრამებისათვის ინდიკატორების საბაზისო მაჩვენებლების შეფასებასა და მიზნობრივი მაჩვენებლების განსაზღვრას და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ეტაპზე ზემოაღნიშნული პროგრამებისათვის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით მიღწეული შედეგებისა და მაჩვენებლების შესახებ ანგარიშგებას.

¹ გენდერული პერსპექტივები განსაზღვრავს გენდერის გავლენას ადამიანთა შესაძლებლობებზე (opportunities), მათ სოციალურ როლსა და ურთიერთობებზე.

ამ ეტაპზე, აღნიშნული პროცესის ეფექტიანად განხორციელება უკავშირდება გარკვეულ გამოწვევებს, როგორებიცაა: საბაზისო კონცეფციის სწორად განსაზღვრა (გენდერული მნიშვნელოვნების ცნება), პროგრამის გენდერული სენსიტიურობის/მნიშვნელოვნების ხარისხის განსაზღვრის კრიტერიუმების არ არსებობა, პროგრამული კლასიფიკაციის სავალდებულო დონის შერჩევის ასპექტი (პროგრამის/ქვეპროგრამის დონე).

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, საბიუჯეტო ოფისის ანალიზის პირველი ეტაპი მიზნად ისახავს, წარმოადგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების გენდერული მნიშვნელოვნების დონის შეფასების ერთიანი ჩარჩო გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსის სახით. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ შემოთავაზებული პროგრამების გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი ეყრდნობა შესაძლებლობების მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის ხუთ კატეგორიას: თანაბარი შესაძლებლობა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ფორმირებისას, თანაბარი შესაძლებლობა პოლიტიკური და სოციალური სისტემის ფორმირებისას, თანაბარი შესაძლებლობა იცხოვრონ და იმუშაონ დაცულ და სუფთა გარემოში, თანაბარი შესაძლებლობა პიროვნული ხელშეუხებლობის თვალსაზრისით, თანაბარი შესაძლებლობა ფიზიკური ხელშეუხებლობის თვალსაზრისით. ინდექსი სახელმწიფო ბიუჯეტის თითოეული პროგრამის შესაძლებლობების ზემოთწარმოდგენილ კატეგორიებზე გავლენის შეფასების საფუძველზე იძლევა შესაძლებლობას მოხდეს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის არსებითად მაღალი და მაღალი მნიშვნელოვნების პროგრამების იდენტიფიცირება (არსებული ანალიზის საფუძველზე, აღნიშნულ კატეგორიებში მოხვდა 26 პროგრამა).

ანალიზის მეორე ეტაპი მიზნად ისახავს მაღალი გენდერული მნიშვნელოვნების პროგრამებისათვის განახორციელოს პროგრამების არსებული მიზნებისა და შედეგების/შედეგების შეფასების ინდიკატორების ანალიზი და წარმოადგინოს ის სარეკომენდაციო ინდიკატორები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხარჯავი დაწესებულებების მიერ კონკრეტული პროგრამის გენდერულ ასპექტში მისაღწევი შედეგების შეფასებისათვის. როგორც ბიუჯეტის პროგრამული დანართის ანალიზით ვლინდება, არსებითად მაღალი და მაღალი მნიშვნელოვნების მქონე ზემოაღნიშნული პროგრამებიდან (26 პროგრამა) უმრავლესობაში გენდერული ასპექტი პროგრამის მიზნებში ცალსახად გაწერილი არ არის, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია აღნიშნული ასპექტის შესახებ ზოგადი მითითება და შესაბამისად, არ არის ასახული მოსალოდნელი შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები. ზემოაღნიშნული მიზნების გათვალისწინებით, ანგარიშის მეორე ნაწილში წარმოდგენილია გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად არსებითად მაღალი და მაღალი მნიშვნელოვნების მქონე პროგრამებისათვის შედეგების შეფასების ინდიკატორები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს მხარჯავ დაწესებულებებს გენდერულ ასპექტში პროგრამების სასურველი მოსალოდნელი შედეგების ჩამოყალიბების შემდგომ განსაზღვრონ სასურველი ინდიკატორი და მისი მიზნობრივი მაჩვენებლები. ამასთან, აღნიშნული ინდიკატორების შეფასებისათვის საჭირო მონაცემების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ანგარიშის დანართში.

2. გენდერული ბიუჯეტირების არსი და მნიშვნელობა

გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს გენდერული თანასწორობის ასპექტების ჩართვას ქვეყნის საბიუჯეტო პროცესში და საბიუჯეტო რესურსების ისეთ გადანაწილებას, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული პერსპექტივის² ინტეგრირებას ყველა სფეროსა თუ სექტორში. უფრო დეტალურად, ევროსაბჭოს (2009) განმარტებით, „გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს გენდერული მენსტრიმინგის გათვალისწინებას საბიუჯეტო პროცესში. ის გულისხმობს, ბიუჯეტის შეფასებას გენდერულ ჭრილში, გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას საბიუჯეტო პროცესის ყველა დონეზე და შემოსავლებისა და ხარჯების გადანაწილებას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის.“³ ანალოგიურად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის განმარტებით, „გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს შესაბამისი პროცედურებისა და ანალიტიკური მიდგომების მემვეობით, ცხადი გენდერული ხედვის ინტეგრირებას საბიუჯეტო პროცესის ერთიან კონტექსტში, გენდერული თანასწორობის მიმართულეზაზე ორიენტირებული პოლიტიკის მხარდაჭერისათვის⁴. აღსანიშნავია, რომ გენდერული ბიუჯეტირება არ გულისხმობს ქალთა და მამაკაცთათვის განსხვავებული ბიუჯეტის შედგენას ან ბენეფიციართა დაყოფას გენდერულ ჭრილში, არამედ იგი წარმოადგენს გენდერზე ორიენტირებული საბიუჯეტო პროცესის ფორმირებას, რაც გულისხმობს საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების შესაბამისობას ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიმართულეზებით განსაზღვრულ პოლიტიკასთან.

გენდერული ბიუჯეტირების ზემოაღნიშნული ფართო განმარტება უკავშირდება საერთაშორისო პრაქტიკით არსებულ განსხვავებულ გამოცდილებას, როგორც გამოყენებული მიდგომის, ისე ინსტიტუციური მოწყობის თვალსაზრისით, ქვეყნის ადმინისტრაციული და ფისკალური მოწყობის, ისე სხვა სპეციფიურ მახასიათებლების გათვალისწინებით.

გამოყენებული მიდგომების კუთხით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის(OECD, 2017) მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია განხილულ იქნას გენდერული ბიუჯეტირების შემდეგი მიდგომები:

- ბიუჯეტის ფორმირების ეტაპზე: ცალკეული ღონისძიებების/პროგრამების გენდერული გავლენის წინასწარი შეფასება, გენდერულ თანასწორობაზე ბიუჯეტის გავლენის ერთიანი შეფასება საბაზისო სცენარით, გენდერული საჭიროებების ხარისხობრივი შეფასება.

² გენდერული პერსპექტივები განსაზღვრავს გენდერის გავლენას ადამიანთა შესაძლებლობებზე (opportunities), მათ სოციალურ როლსა და ურთიერთობებზე.

³ „Gender budgeting is an application of gender mainstreaming³ in the budgetary process. It means a gender-based assessment of budgets, incorporating a gender perspective at all levels of the budgetary process and restructuring revenues and expenditures in order to promote gender equality.“ Council of Europe, 2009.

⁴ „Integrating a clear gender perspective within the overall context of the budgetary process, through the use of special processes and analytical tools, with a view to promoting gender-responsive policies“. Gender budgeting in OECD countries. OECD Journal on Budgeting, Volume 2016/3. OECD, 2017.

- ბიუჯეტირების ერთიან ჩარჩოში: გენდერული ასპექტების გათვალისწინება შედეგების დაგეგმვისას, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ერთ-ერთი კომპონენტი; კონკრეტული მოთხოვნები რესურსების განაწილებისას გენდერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრამების დაფინანსებაზე; ცალკეული ღონისძიებების ბენეფიციართა გამიჯვნა გენდერულ ჭრილში.
- ბიუჯეტის შესრულების/კონტროლის ეტაპზე: ცალკეული ღონისძიებების გენდერული გავლენის ex-post შეფასება, ბიუჯეტის გენდერული აუდიტი, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ერთიანი ანალიზისას გენდერული ასპექტის, როგორც ანალიზის ერთ-ერთი მიმართულების გათვალისწინება.

რაც შეეხება ინსტიტუციურ მოწყობას, აღნიშნული მიმართულებით გენდერული ბიუჯეტირების საერთაშორისო გამოცდილება განასხვავებს გენდერულ ბიუჯეტირებაზე პასუხისმგებელი უწყებების ფორმირების ორ შესაძლებლობას: მთავრობის შიდა (inside-government) და მთავრობის გარეთ (outside-government)⁵.

- ერთი მხრივ, გენდერულ ბიუჯეტირებაზე პასუხისმგებელი უწყებების მთავრობაში არსებობის, ისე როგორც ეს გვხვდება ავსტრალიაში, ბელგიაში, ავსტრიაში და ევროპის კავშირის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, ცალსახა უპირატესობას წარმოადგენს მონაცემებზე შეუზღუდავი წვდომა, რადგან სწორედ აღნიშნულ უწყებებს აქვთ პირდაპირი გავლენა საბიუჯეტო გადაწყვეტილებებსა და რესურსების გადანაწილებაზე და ისინი ახდენენ ბიუჯეტის შესრულების იმ მთლიანი (არაგენდერულ ჭრილში) ფაქტობრივი მონაცემების, როგორც გენერირებას, ისე შეგროვებას, რაც ავტომატური და არაავტომატური გენდერული ანალიზისთვის არის საჭირო⁶. თუმცა, მსგავსი მოწყობა ხშირად ხასიათდება ბიუროკრატის მაღალი ხარისხითა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებული გამოწვევებით.
- მეორე მხრივ, გენდერულ ბიუჯეტირებაზე პასუხისმგებელი უწყებების მთავრობის გარეთ არსებობის უმთავრესი ნაკლი (disadvantage) არის იმ მონაცემებსა და ინფორმაციაზე წვდომა, რომელიც არსებითია ფისკალური პოლიტიკის გენდერულ ჭრილში ანალიზისას, ისე როგორც ეს არის გაერთიანებულ სამეფოსა და ევროპის კავშირის ცალკეულ ქვეყნებში. თუმცა აღნიშნული ინსტიტუციური მოწყობა ცალსახად ასტიმულირებს ამ მიმართულებით სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობასა და დისკუსიას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა გენდერულ ჭრილში მთავრობის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სისტემური გამოწვევების (gender bias) გამოსავლენად.

⁵ Sharp, R., Broomhill, R. (2002), "Budgeting for Equality: The Australian Experience", pp 25-27, Feminist Economics

⁶ ინფორმაციის შეგროვება არის უკვე არსებული ინსტრუმენტებით ინფორმაციის შეგროვება. ინფორმაციის გენერირება კი არის მონაცემების შეგროვებისთვის შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნა. მაგალითად, მოსწავლეთა მოსწრების მაჩვენებლები ავტომატურად გროვდება. ხოლო, მოსწავლეთა მოსწრების ამ მაჩვენებლების გენდერულ ჭრილში ანალიზი, რომელიც მეორად მონაცემებს შექმნის, ინფორმაციის გენერირებად განიხილება. ამით მკაფიოდ იმიჯნება პირველადი მონაცემები, რაც, ხშირად, ავტომატურად გროვდება და მეორადი მონაცემები, რისი გენერირებაც პირველადი მონაცემების საფუძველზე ხდება.

და ბოლოს, გარდა იმისა, რომ გენდერული ბიუჯეტირება წარმოადგენს ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, არსებითაა მისი მაკროეკონომიკური მნიშვნელობაც. აღნიშნული, ისევე, როგორც ჯამურად ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკა, პირდაპირ კავშირშია გენდერული ბიუჯეტირების გავლენასთან ეკონომიკის მწარმოებლურობის დონეზე, ზრდასა და რესურსების თანასწორ/სამართლიან გადანაწილებაზე. ამასთან, გენდერული ბიუჯეტირება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა საბიუჯეტო ხარჯვის ეფექტიანობის შეფასებისთვის და იგი არსებითად უწყობს ხელს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ბაზის შექმნასა თუ დახვეწას. ეს უკანასკნელი კი, არ მოიცავს მხოლოდ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების გენდერის მიხედვით დაჯგუფებას, არამედ უკავშირდება თითოეული პრიორიტეტული სფეროსა თუ სექტორის დაწვრილებით კვლევასა და შესწავლას. ასე მაგალითად, „სტარტაპ საქართველოს“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი საწარმოების თანამშრომელთა მხოლოდ გენდერულ ჭრილში წილობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, შეუძლებელია დადგინდეს გავლენა საწარმოთა გაყიდვების დინამიკაზე და, შესაბამისად, რთულია გამოიკვეთოს ამ მიმართულებით გენდერული უთანასწორობის წარმოქმნის მიზეზი. ამ შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ისეთი ინფორმაცია, როგორც არის მცირე და საშუალო მეწარმეების კომპიუტერული უნარ-ჩვევების დონე გენდერულ ჭრილში, საერთაშორისო ბაზარზე დისტანციურად მომუშავე მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, სამუშაო დროის მოქნილობა, უთანასწორობა შრომის ანაზღაურების მიმართულებით და ა.შ.

3. გენდერული ბიუჯეტირება საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული ბიუჯეტირების მიმართულებით ანალიზის კონკრეტულ მეთოდოლოგიას/მოთხოვნებს ამ ეტაპისთვის საქართველოს საბიუჯეტო ჩარჩო არ ითვალისწინებს, არსებული სარეკომენდაციო მითითებები მეტყველებს, რომ გენდერული ასპექტის გათვალისწინება განხილულია, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ერთ-ერთი კომპონენტი.

შედეგზე ორიენტირებული(პროგრამული) ბიუჯეტირება, რომლის დანერგვა საქართველოში 2012 წლიდან მიმდინარეობს, მოიაზრებს საჯარო ფინანსების მართვის ორიენტირებას არა ფინანსურ ან ადამიანურ რესურსებზე, არამედ კონკრეტული რესურსებით თითოეული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ/მიღწეულ შედეგებზე. კერძოდ, „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის N385 ბრძანების⁷ შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტს დაგეგმვისა და შესრულების ეტაპებზე თან ერთვის ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული თითოეული პროგრამის მიზნების, მოსალოდნელი/მიღწეული საბოლოო და შუალედური შედეგების და აღნიშნული შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ საბაზისო მაჩვენებლებისა და კონკრეტული

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #385, 2011 წლის 8 ივლისი

წლის/საშუალოვადიანი პერიოდისათვის მიზნობრივი მაჩვენებლების მითითებით. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და მათ ფარგლებში კონკრეტული წლისთვის განსახორციელებელი საბიუჯეტო პროგრამების აღწერა და მიზნები გაწერილია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში. ხოლო პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც ასახავს ინფორმაციას დაგეგმილი შედეგების შესახებ შეფასების ინდიკატორების მითითებით, საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა⁸.

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგია პროგრამების შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ მითითებებთან ერთად, მიუთითებს: “პროგრამის სპეციფიკის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყოფილ იქნეს პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი”. შესაბამისად, მეთოდოლოგია იძლევა საფუძველს გენდერული ბიუჯეტირების წარმოდგენილი მიდგომის გამოყენებისათვის საქართველოს საბიუჯეტო მართვის პროცესში. აღნიშნული შესაძლებელია მიჩნეულ იქნას საქართველოს საბიუჯეტო სისტემისათვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მექანიზმად, უზრუნველყოფს რა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გენდერული თანასწორობის კუთხით პოლიტიკის მიზნების მაქსიმალურ ინტეგრირებას საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე და პროცესის ყველა ეტაპზე, ამასთან, მინიმალური დამატებითი რესურსების გამოყენებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინება მოიაზრებს შემდეგ საფეხურებს:

- გენდერული თანასწორობის ერთიან პოლიტიკაზე დაყრდნობით ამ მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების მოსალოდნელი შედეგების/შედეგების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების გენდერული მნიშვნელოვნების ხარისხის შეფასება, პირველ ეტაპზე შედარებით მაღალი გენდერული მნიშვნელოვნების პროგრამების იდენტიფიცირებისათვის
- მაღალი გენდერული მნიშვნელოვნების პროგრამებისათვის ინდიკატორების საბაზისო მაჩვენებლების შეფასება და სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე მოკლე/საშუალოვადიანი პერიოდისათვის მიზნობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ეტაპზე ზემოაღნიშნული პროგრამებისათვის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით მიღწეული შედეგებისა და მაჩვენებლების შესახებ ანგარიშგება.

⁸ პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მიხედვით (3.1 – პროგრამული ბიუჯეტის დანართი), პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილია პროგრამასთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე არ მტკიცდება წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ და არ მიეცემა კანონის იურიდიული ძალა. ამის მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის საწყის ეტაპზე საკმაოდ რთულია მოსალოდნელი შედეგების, შეფასების ინდიკატორებისა და მათი მიზნობრივი მაჩვენებლების სათანადოდ განსაზღვრა.

ამ ეტაპზე, აღნიშნული პროცესის ეფექტიანად განხორციელება უკავშირდება ცალკეულ გამოწვევებს, კერძოდ:

1. უმთავრესი ასპექტი: „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის ბრძანება გენდერული მიმართულებით პრიორიტეტული პროგრამების იდენტიფიცირებისათვის მიუთითებს ტერმინს „გენდერული სენსიტიურობა“, რაც განსხვავდება „გენდერული მნიშვნელოვნების“ კონცეფციისაგან. კერძოდ, ევროკომისიის⁹ და გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის¹⁰ განმარტების მიხედვით, გენდერული სენსიტიურობა გულისხმობს კონკრეტული უწყების, ორგანიზაციისა თუ პირის მიერ გენდერული განსხვავებების, უთანასწორობისა და დისკრიმინაციის აღიარებას შესაბამის სფეროში და, აქედან გამომდინარე, გენდერული განზომილების გათვალისწინებას საკუთარი საქმიანობის (მათ შორის საბიუჯეტო სახსრების) დაგეგმვის პროცესში. ხოლო გენდერული მნიშვნელოვნება (gender relevance) გულისხმობს იმის განსაზღვრას, თუ რამდენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონკრეტული პროგრამა გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე. ასე მაგალითად, უმაღლესი განათლების სახელმწიფო პროგრამა (32 04), მისი პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენების გათვალისწინებით, მაღალი გენდერული მნიშვნელოვნებით ხასიათდება. თუმცა, აღნიშნული პროგრამა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გენდერულად სენსიტიურ პროგრამად, ვინაიდან გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული გამოწვევები არ არის ცალსახად ხაზგასმული და გათვალისწინებული 2017-2021 წლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიასა და საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში.
2. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროგრამათა კლასიფიკაცია მოხდება მათი გენდერული სენსიტიურობისა და არა გენდერული მნიშვნელოვნების მიხედვით, არ არსებობს კლასიფიკაციის მეთოდოლოგია ან ტერმინის დეტალური განმარტება. შესაბამისად, გაურკვეველია როგორ შეფასდება თითოეული პროგრამის გენდერული სენსიტიურობა (ასევე ვინ შეაფასებს შერჩეული პროგრამების შესაბამისობას დადგენილ კრიტერიუმებთან).
3. საყურადღებო საკითხია გენდერულ ასპექტში შედეგების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისა და წარმოდგენისათვის პროგრამული კლასიფიკაციის სავალდებულო დონე (პროგრამის/ქვეპროგრამის დონე). ზემოაღნიშნული საკითხის მნიშვნელობა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ პროგრამული ბიუჯეტის კლასიფიკაციის შესაბამისად, პროგრამებზე ხდება საბოლოო შედეგების (outcome) ინდიკატორების განსაზღვრა და წარმოდგენა, ხოლო ქვეპროგრამებზე შუალედური შედეგების (output) ინდიკატორების წარმოდგენა. გენდერულ ასპექტში შედეგების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას შესაძლებელია მივიღოთ შემთხვევა, როდესაც პროგრამა არ მოიცავს ქვეპროგრამებს, შესაბამისად ინდიკატორების განსაზღვრა უნდა მოხდეს საბოლოო შედეგის დონეზე და არ მოიცავდეს შესაბამის შუალედურ შედეგებს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ პროგრამული ბიუჯეტის

⁹ European Commission (1998). 100 Words for Equality: A Glossary of Terms on Equality between Women and Men.

¹⁰ Based on Šribar, R. (2015), 'Glossary of common terms in gender equality and feminist theory', in M. Ule, R. Šribar and A. U. Venturini, eds., Gendering Science: Slovenian Surveys and Studies in the EU Paradigms, Vienna, Echoraum

მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროგრამის/ქვეპროგრამის დონეზე ინდიკატორების ოდენობის სარეკომენდაციო ლიმიტს (არაუმეტეს 5 ინდიკატორისა).

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, საბიუჯეტო ოფისის ანალიზი მიზნად ისახავს, წარმოადგინოს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების გენდერული მნიშვნელოვნების დონის შეფასების ერთიანი ჩარჩო გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსის სახით. ანალიზის მეორე ეტაპი ასახავს მაღალი გენდერული მნიშვნელოვნების პროგრამებისათვის გენდერულ ასპექტში შედეგების შეფასების ინდიკატორების ანალიზსა და სარეკომენდაციო ინდიკატორების წარმოდგენას, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხარჯავი დაწესებულებების მიერ კონკრეტული პროგრამის გენდერულ ასპექტში მისაღწევი შედეგების შეფასებისათვის. დანართის სახით წარმოდგენილია ზემოაღნიშნული ინდიკატორების გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემები/ცვლადები ამ მიმართულებით მონაცემთა შეგროვების პროცესის დახვეწის ხელშეწყობისათვის.

4. პროგრამების გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი - შესაძლებლობების მიდგომა

4.1 შესაძლებლობების მიდგომა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების გენდერული მნიშვნელოვნების შეფასების მიზნით ინდექსის ფორმირებისას საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ეყრდნობა შესაძლებლობების მიდგომას (capabilities approach), რომელიც საშუალებას იძლევა არა მხოლოდ შეფასდეს სახელმწიფო რესურსების გადანაწილება ქალ და მამაკაც ბენეფიციარებს შორის, არამედ დადგინდეს კავშირი მთავრობის ფისკალურ პოლიტიკასა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის არსებითად მნიშვნელოვან მიმართულებებს შორის.

შესაძლებლობების მიდგომა ეფუძნება ნობელის პრემიის ლაურიატის, ეკონომისტ ამარტია სენის (Amartya Sen) თეორიას, რომლის მიხედვითაც სოციალური მოწყობა ფასდება პიროვნების თავისუფლების ხარისხით - იმოქმედოს საკუთარი ღირებულებების მიხედვით¹¹. აღნიშნული მიდგომა აკრიტიკებს კეთილდღეობის (welfare) ეკონომიკას და ამტკიცებს, რომ იგი სრულყოფილად ვერ ასახავს ადამიანის საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილების დონეს. გამომდინარე იქიდან, რომ განსხვავდება ადამიანების პიროვნული და გარეგნული მახასიათებლები, ისევე, როგორც მათი საცხოვრებელი ბუნებრივი და სოციალური გარემო, არარეალისტურია დაშვება, რომ თანაბარი ოდენობის შემოსავალი ან/და მოხმარება მათ ცხოვრებით კმაყოფილების ერთსა და იმავე დონეს უქმნის. შესაბამისად, შესაძლებლობების მიდგომის მიხედვით, უთანასწორობის შეფასებისას, ამოსავალ წერტილს არ წარმოადგენს კონკრეტული პიროვნების შემოსავალი ან მოხმარება, არამედ ის, თუ რეალურად რა შედეგის (outcome) მიღება სურს მას საკუთარი შემოსავლისა და მოხმარების საფუძველზე.

¹¹ Sen, A.K. (1993), "Capability and Well-being", in (M.Nussbaum and A.Sen, eds), pp 30-53, Oxford: Clarendon Press

ანალოგიურად, გენდერული თანასწორობის კუთხით სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად, არსებითია არა მხოლოდ ქალთა და მამაკაცთა შორის რესურსების გადანაწილების, არამედ მათი შესაძლებლობების შედარება. შესაძლებლობების მიდგომაზე დაფუძნებული გენდერული ბიუჯეტირება, პირველ რიგში, განიხილავს ქალისა და მამაკაცის იმ ძირითად შესაძლებლობებს, რომელთა გათანაბრება არსებითია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, შემდეგ კი ადგენს კავშირს აღნიშნულ შესაძლებლობებსა და მთავრობის ფისკალურ გადაწყვეტილებებს შორის. ხოლო მას შემდეგ, რაც აღნიშნულ შესაძლებლობებზე გავლენის გათვალისწინებით მოხდება საბიუჯეტო მიმართულებების (პროგრამების) კლასიფიცირება, იწყება რესურსების გადანაწილების ანალიზი და მისი გავლენის შეფასება გენდერულ თანასწორობაზე¹².

რაც შეეხება უშუალოდ შესაძლებლობათა იმ კატეგორიების განსაზღვრას, რომლებიც არსებითია გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი მახასიათებლები:

1. შესაძლებლობების კატეგორიები უნდა იყოს ყოვლისმომცველი, რაც გულისხმობს, რომ კატეგორიები შეძლებისდაგვარად უნდა მოიცავდეს გენდერული თანასწორობის ყველა ძირითად ასპექტს. ამასთან, შესაძლებლობების კატეგორიები არ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი, ვინაიდან აღნიშნული ზრდის შეფასებისას უზუსტობის რისკს.
2. შესაძლებლობები უნდა იყოს მაქსიმალურად ობიექტური და არ ითვალისწინებდეს კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ მახასიათებლებს.

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა შესაძლებლობების კატეგორიების განსაზღვრისას იხელმძღვანელა ევროპის პარლამენტის პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ გენდერული თანასწორობის კომიტეტისთვის მომზადებული დასკვნით ევროკავშირის ბიუჯეტის გენდერული ანალიზის შესახებ¹³. აღნიშნულის საფუძველზე გამოიკვეთა გენდერული თანასწორობის შემდეგი ხუთი კატეგორია:

A - თანაბარი შესაძლებლობა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ფორმირებისას: რაც გულისხმობს მამაკაცისა და ქალის თანასწორ შესაძლებლობას, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და ერთვებოდნენ სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში, თანასწორად ინაწილებდნენ და ეკისრებოდეთ თანაბარი პასუხისმგებლობა ოჯახში გაწეულ საქმიანობაზე, ჰქონდეთ თანაბარი გავლენა ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ჰქონდეთ ზრუნვის მიღებისა და გაცემის თანასწორი შესაძლებლობა და ა.შ.

B - თანაბარი შესაძლებლობა პოლიტიკური და სოციალური სისტემის ფორმირებისას: რაც გულისხმობს მამაკაცებისა და ქალების თანასწორ შესაძლებლობას იყვნენ ჩართული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ეკონომიკურ თანასწორობას ქალებსა და მამაკაცებს შორის, თანაბარ შესაძლებლობებს მიიღონ განათლება,

¹² Addabbo, T. (2016), "Gender Budgeting in the Capability Approach", in (J. Campbell and M. Gillespie, eds), *Feminist Economics and Public Policy*, pp 56-60, Routledge IAFEE Advances in Feminist Economics.

¹³ Policy Department, (2015), "The EU Budget for Gender Equality", European Parliament.

ჰქონდეთ დასაქმებისა და თანაბარი ანაზღაურების შესაძლებლობა მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და ა.შ.

C - თანაბარი შესაძლებლობას იცხოვრონ და იმუშაონ დაცულ და სუფთა გარემოში: თანაბარი ხელმისაწვდომობა ან/და შესაძლებლობა ქალისა და მამაკაცისთვის_ ჰქონდეთ თავშესაფარი და იცხოვრონ უსაფრთხო და სუფთა გარემოში.

D - თანაბარი შესაძლებლობა პიროვნული ხელშეუხებლობის თვალსაზრისით: რაც გულისხმობს მამაკაცისა და ქალის თანასწორ შესაძლებლობას, დამოუკიდებლად და საკუთარი სურვილის შესაბამისად აირჩიონ განათლება და პროფესია, საყვარელი საქმიანობა (ჰობი), რელიგია და მრწამსი, დაგეგმონ თავისუფალი დრო და ა.შ.

E - თანაბარი შესაძლებლობა ფიზიკური ხელშეუხებლობის თვალსაზრისით: რაც გულისხმობს მამაკაცისა და ქალის თანასწორ შესაძლებლობას იცხოვრონ ღირსეულად, იყვნენ დაცული ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური ძალადობისგან/წნებისგან, გამოხატონ საკუთარი მოსაზრება და პიროვნული თვისებები საკუთარი სურვილისებრ, მათ შორის ვიზუალურად, ძალადობისა და დამცირების შიშის გარეშე და ა.შ.

შესაძლებლობების აღნიშნული კატეგორიები აკმაყოფილებს ზემოთწარმოდგენილ 2 ძირითად მახასიათებელს: 1. კატეგორიები მოიცავს გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის (EIGE¹⁴) გენდერული თანასწორობის საერთაშორისო ინდექსის¹⁵ ყველა ძირითად მიმართულებას, რაც გარკვეულწილად განაპირობებს აღნიშნული კატეგორიების დამოუკიდებლობას სპეციფიური სოციალური გავლენისაგან. 2. შეფასებისას უზუსტობის თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნული კატეგორიები არის ფართო და არაურთიერთგამომრიცხავი. ასე მაგალითად, პიროვნების შესაძლებლობა თავი იგრძნოს დაცულად, პირდაპირ კავშირშია როგორც თავშესაფრის ხელმისაწვდომობასთან, ისე მის ფინანსურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებთან. შესაბამისად, აღნიშნული შესაძლებლობა ხვდება როგორც **B**, ისე **C** კატეგორიაში.

4.2 სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი

შესაძლებლობების ზემოთაღწერილი მიდგომის საფუძველზე საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებული ინდექსი ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის თითოეული პროგრამის გავლენას ზემოთწარმოდგენილ შესაძლებლობების 5-ვე კატეგორიაზე და ეყრდნობა შემდეგ დაშვებებს:

¹⁴ გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://eige.europa.eu/>

¹⁵ გენდერული თანასწორობის ინდექსი შედგენილია გენდერული თანასწორობის კომპლექსური კონცეფციისა და ამ მიმართულებით ევროპის კავშირის პოლიტიკის საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული ინდექსი ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის მიმართულებით პროგრესის მონიტორინგს ევროპის კავშირის მასშტაბით.

- ინდექსის გამოთვლისას შესაძლებლობათა კატეგორიებს არ აქვთ იერარქია და აქვთ თანაბარი წონა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით. შესაძლებლობათა კონკრეტულ კატეგორიაზე გავლენა ფასდება, როგორც ბინარული ცვლადი(1/0).
- პროგრამის გავლენა შესაძლებლობის კონკრეტულ კატეგორიაზე შესაძლებელია იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი. ინდექსის კალკულაციისას პირდაპირ გავლენას ენიჭება 70%-იანი წონა, ხოლო არაპირდაპირს - 30%-იანი წონა.

თავად ინდექსი გაიანგარიშება, როგორც შესაძლებლობების ზემოაღნიშნულ კატეგორიებზე პროგრამების პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენების საშუალო შეწონილი. ინდექსის მაქსიმალური მაჩვენებელი უტოლდება 3.5 ქულას, ხოლო მინიმალური - 0 ქულას.

გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი (ინტერვალი)	პროგრამების რაოდენობა
1-ზე ნაკლები	109
1-დან 2-მდე	48
2-დან 3-მდე	17
3-ზე მეტი	9

ცხრილი N1.

როგორც ინდექსის გაანგარიშებისას გამოვლინდა, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების უდიდესი წილი(32%) პირდაპირ გავლენას ახდენს ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობებზე მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური და სოციალური სისტემების ფორმირებაში, რაც გარკვეულწილად შესაბამისობაშია სამთავრობო გეგმასთან, რომლის პრიორიტეტსაც გენდერული თანასწორობის ჭრილში, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალის როლის ზრდა წარმოადგენს. პროგრამების დაახლოებით 25% პირდაპირ გავლენას ახდენს ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობებზე საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ფორმირებისას, პროგრამების 18% - პიროვნული ხელშეუხებლობის თვალსაზრისით ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობებზე, პროგრამების 16% - მათ შესაძლებლობებზე იცხოვრონ დაცულ და სუფთა გარემოში, და ყველაზე ნაკლები, პროგრამების 8% - მათ შესაძლებლობებზე ფიზიკური ხელშეუხებლობის თვალსაზრისით.

ჯამურად, გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსის გაანგარიშების საფუძველზე გამოიკვეთა 9 საბიუჯეტო პროგრამა, რომელიც ყველაზე მაღალი შეფასებით გამოირჩევა და შესაბამისად, კლასიფიცირდება გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად არსებითად მაღალი მნიშვნელოვნების მქონე პროგრამად, ხოლო 17 პროგრამა დაკლასიფიცირდა, როგორც გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად მაღალი მნიშვნელოვნების მქონე პროგრამა. ინდექსის საფუძველზე პროგრამების განაწილება გენდერული მნიშვნელოვნების დონის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში N1.

5. არსებითად მაღალი და მაღალი გენდერული მნიშვნელოვნების მქონე საბიუჯეტო პროგრამები

როგორც უკვე აღინიშნა, ანალიზის მეორე ნაწილი მიზნად ისახავს ინდექსის საფუძველზე არსებითად მაღალი და მაღალი მნიშვნელოვნების მქონე პროგრამების გენდერული მიმართულებით მიზნების, მოსალოდნელი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების შეფასების ინდიკატორების ანალიზს.

რამდენადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის არის აღნიშნული ასპექტის გათვალისწინება მაკრო დონეზე ანუ უშუალოდ პოლიტიკისა და მიდგომების შემუშავების პროცესში, გენდერული მნიშვნელოვნების არსებითად მაღალი შეფასება, საბიუჯეტო ოფისის წარმოდგენილი კლასიფიკაციის გათვალისწინებით, ძირითადად მიენიჭა არა კონკრეტული სფეროს, არამედ ჯამურად სახელმწიფოს პოლიტიკის განმსაზღვრელ მართვისა და რეგულირების პროგრამებს, ასევე ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ ცალკეულ პროგრამებს(მათ შორის, საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობას, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის განხორციელებას), რომლებიც მიზნად ისახავს ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობას (9 პროგრამა, იხ. ცხრილი N2). შემდგომ, უკვე მნიშვნელოვანია გენდერული ასპექტის გათვალისწინება მოხდეს მიკრო დონეზე ანუ კონკრეტული სფეროს/მიმართულებების მიხედვით ცალკეული პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემუშავების პროცესში. გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად მაღალი მნიშვნელოვნების მქონე პროგრამების(17 პროგრამა) უმრავლესობა წარმოადგენს კონკრეტული სფეროს/მიმართულების პროგრამებს.

როგორც ბიუჯეტის პროგრამული დანართის ანალიზით ვლინდება, არსებითად მაღალი და მაღალი მნიშვნელოვნების მქონე პროგრამებიდან (26 პროგრამა) უმრავლესობაში გენდერული ასპექტი პროგრამის მიზნებში ცალსახად გაწერილი არ არის, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია აღნიშნული ასპექტის შესახებ ზოგადი მითითება¹⁶ და შესაბამისად, არ არის ასახული

¹⁶ საკანონმდებლო საქმიანობის (პროგრ. კოდი 01 01) პროგრამის ფარგლებში საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებველო საქმიანობის ქვეპროგრამის (01 01 01) მიზნებში ასახულია გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების და მართვის პროგრამის(პროგრ. კოდი 26 01) ერთ-ერთ მიზნად მითითებულია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებების (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი - პროგრ. კოდი 41 01) ქვეპროგრამის მიზნებში მითითებულია: „საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი,სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენდერული

მოსალოდნელი შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები. შესაბამისად, ქვემოთწარმოდგენილია საბიუჯეტო პრიორიტეტების მიხედვით ზემოაღნიშნული პროგრამებისათვის გენდერულ ასპექტში შესაძლო საბოლოო და შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები შეთავაზების სახით¹⁷. ამასთან, აღნიშნული ინდიკატორების შეფასებისათვის საჭირო ძირითადი მონაცემების¹⁸ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ანგარიშის დანართში.

პრიორიტეტი: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

30 01: საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 3.1	პროგრამის ასიგნება: 549.6 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, C, D, E	B
აღნიშნული პროგრამა პირდაპირ კავშირშია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვასთან, ვინაიდან იგი წარმოადგენს აღკვეთის პირდაპირ მექანიზმს ისეთი დანაშაულებისათვის, როგორებიცაა ძალადობა, ტრეფიკინგი და დისკრიმინაცია. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა პირდაპირ გავლენას ახდენს ქალთა პიროვნულ და ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე, მათ შესაძლებლობაზე იცხოვრონ და იმუშაონ უსაფრთხო გარემოში და იყვნენ ოჯახისა და საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. რაც შეეხება არაპირდაპირ გავლენას, დაცულობისა და უსაფრთხოების გარანტიები არის მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისა, რომ ქალები მოახდენენ საკუთარი თავის უკეთ რეალიზებას, აქტიურად ჩაერთვებიან საგანმანათლებლო და ეკონომიკურ აქტივობებში, გაზრდიან თავიანთ გავლენას როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური სისტემის ფორმირებაში.		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> ქალთა %-ული წილი, რომლებიც გახდნენ ძალადობის/ტრეფიკინგის მსხვერპლი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ქალთა %-ული წილი, რომლებიც ერთხელ მაინც გამხდარან ძალადობის/ტრეფიკინგის მსხვერპლი ძალადობის "სიხშირე" (violence rate) (რეგისტრირებული შემთხვევები/რისკ ჯგუფის მოსახლეობაზე) ქალთა მიმართ ძალადობისადმი და ტრეფიკინგისადმი ტოლერანტობის მაჩვენებელი 		
შუალედური შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> შეტყობინებების მაჩვენებელი (reporting rate): <ol style="list-style-type: none"> ძალადობა ტრეფიკინგი გახსნილი საქმეების მაჩვენებელი (prosecution rate) გეოგრაფიული განფენილობა (spread) : 		

თანასწორობის საკითხის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება.“

¹⁷ როლიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ინდიკატორები მითითებული არ არის არსებითად მაღალი მნიშვნელოვნების მქონე სამი პროგრამისათვის: საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა (01 01), საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია(04 00), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის განხორციელება(26 01).

¹⁸ იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია უკვე ითვალისწინებს ზემოაღნიშნული მიმართულებით ინდიკატორების ჩამოყალიბებას, ნაკლებად მოსალოდნელია ანგარიშგების ნაწილის ამ მიმართულებით დახვეწა დაკავშირებული იყოს დამატებით არსებით ფინანსურ/ადამიანურ რესურსთან, გარდა მონაცემების შეგროვების სისტემის ჩამოყალიბების/დახვეწის აუცილებლობის შემთხვევისა.

1. რეგიონებში ოფისების რაოდენობა ერთ მოსახლეზე
• სამართალდამცველების რაოდენობა ერთ მოსახლეზე
• თავშესაფარზე ხელმისაწვდომობა (shelter/refugee)

26 07: დანაშაულის პრევენცია და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.7	პროგრამის ასიგნება: 1.3 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, D, E	B, C
<p>გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, ქალ სამართალდამრღვევთა და პატიმრებთან მოპყრობის წესების დამტკიცების შედეგად, აღიარებულ იქნა გარემოება, რომ სისხლის სამართლის სისტემა, როგორც წესი, აგებულია მამაკაც დანაშაულებით და სამართალ დამრღვევებზე და ნაკლებად ითვალისწინებს ქალთა მახასიათებლებს, გენდერულ როლსა და დანაშაულის ჩადენის წინაპირობებს. ხშირად, ქალი დანაშაულები თავად გვევლინებიან ოჯახური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი. შესაბამისად აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინება პირდაპირ აისახება ქალთა ფსიქიკურ და პიროვნულ ხელშეუხებლობასა და მათ შესაძლებლობაზე, ჩაერთონ პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირებაში. რაც შეეხება არაპირდაპირ გავლენას, გენდერული ასპექტის გათვალისწინება მოცემული პროგრამის ფორმირებისას არის მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისა, რომ ქალები მოახდენენ საკუთარი შესაძლებლობების უკეთ რეალიზებას.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> პროგრამის ბენეფიციარებში დანაშაულის განმეორების მაჩვენებელი, გენდერულ ჭრილში ბენეფიციარებში დასაქმების მაჩვენებელი მიღებული მომსახურების სახეების მიხედვით მომსახურების მიღებიდან 6,12,24 თვის შემდეგ, გენდერულ ჭრილში ბენეფიციართა ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამებში მომსახურების მიღებიდან 6, 12, 24 თვის შემდეგ, გენდერულ ჭრილში 		
შუალედური შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> მოცვის მაჩვენებელი - ინფორმირების მიზნით დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკების სამიზნე ჯგუფებთან შეხვედრების მაჩვენებელი(რამდენ პატიმარს შეხვდნენ %-ულად, პატიმართა რამდენ ოჯახს შეხვდნენ %-ულად) მოხმარების მაჩვენებელი (consumption rate): დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში მიმართულებისა და პროგრამაში რეალურად ჩართვის რაოდენობათა ფარდობა პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა გენდერულ ჭრილში მათთვის გაწეული მომსახურების მითითებით (ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება, თავშესაფრით უზრუნველყოფა, უფასო იურიდიული კონსულტაცია, პროფესიული გადამზადება, ბიზნეს იდეის დაფინანსება, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ა.შ) რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მომსახურების ბაზის მოცვის მაჩვენებელი (რეგიონების დონეზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა) იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამების რაოდენობა, რომლებიც მიმართული იყო ყოფილ პატიმართა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაციაზე იუსტიციის სამინისტროს ყოფილ პატიმართა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაციაზე მიმართული საგრანტო პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობა გენდერულ ჭრილში 		

27 02: სრულყოფილი პრობაციის სისტემა	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.7	პროგრამის ასიგნება: 5.4 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, D, E	B, C

<p>გაერთიანებული ერების დამტკიცებული ე.წ „ბანკოკის წესების“ მიხედვით, არსებითია მოხდეს ქალ სამართალდამრღვევთა გენდერული როლის, განსაკუთრებით ოჯახში მათი მზრუნველობითი პასუხისმგებლობის გათვალისწინება, რაც არსებითია პრობაციის სისტემის ფორმირებისას. შესაბამისად აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინება პირდაპირ აისახება ქალთა ფსიქიკურ და პიროვნულ ხელშეუხებლობასა და მათ შესაძლებლობაზე პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირებისათვის. რაც შეეხება არაპირდაპირ გავლენას, გენდერული ასპექტის გათვალისწინება არის მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისა, რომ ქალები მოახდენენ საკუთარი შესაძლებლობების უკეთ რეალიზებას და იცხოვრებენ და იმუშავენ დაცულ გარემოში.</p>
<p>საბოლოო შედეგების ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საპრობაციო პერიოდის წარმატებით დასრულების მაჩვენებელი (% of successfully completing supervision), გენდერულ ჭრილში • პრობაციონერთა მიერ დანაშაულის განმეორებითობის მაჩვენებელი (recidivism rate) პრობაციის დასრულებიდან 12,24 და 36 თვის შემდეგ, გენდერულ ჭრილში • პრობაციონერთა დასაქმების მაჩვენებელი, გენდერულ ჭრილში • დასაქმებულ პრობაციონერთა საშუალო ანაზღაურების მაჩვენებელი, გენდერულ ჭრილში
<p>შუალედური შედეგების ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კომისიის მიერ პრობაციის ბიუროს შუამდგომლობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი¹⁹ (rate) • შეხვედრათა გაცდენის მაჩვენებელი (rate): <ol style="list-style-type: none"> 1. საპატიო 2. არასაპატიო • სარეაბილიტაციო ღონისძიებებში ჩართვის მაჩვენებელი: <ol style="list-style-type: none"> 1. ნებაყოფლობითი 2. სავალდებულო • სერვისების ხელმისაწვდომობა - გეოგრაფიული განფენილობა

პრიორიტეტი: ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

41 00: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 3.5	პროგრამის ასიგნება: 5.5 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, C, D, E	
<p>აღნიშნული უწყება უშუალოდ ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს ამ მიმართულებით დარღვევის ფაქტებს და უზრუნველყოფს დარღვეული უფლებისა და თავისუფლების აღდგენას. გამომდინარე იქიდან, რომ გენდერული შესაძლებლობის ხუთივე კატეგორია უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან, სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა პირდაპირ გავლენას ახდენს შესაძლებლობათა ხუთივე კატეგორიაზე.</p>		
<p>საბოლოო შედეგების ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გენდერული ნიშნით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის კუთხით გაკეთებული განცხადებათა/საჩივართა დასაშვებობის²⁰ მაჩვენებელი (rate) 		

¹⁹ პრობაციის ბიუროს უფროსი მსჯავრდებულის შესაბამისი განცხადებისა და სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ შუამდგომლობით მიმართავს პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიას (საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ)

<ul style="list-style-type: none"> გენდერული ნიშნით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის კუთხით სახალხო დამცველის კანონიერ მოთხოვნათა შესრულების მაჩვენებელი (rate)
შუალედური შედეგების ინდიკატორები:
<ul style="list-style-type: none"> გენდერული ნიშნით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის კუთხით გაკეთებული განცხადებათა/საჩივართა სიხშირე (rate)
<ul style="list-style-type: none"> კონსულტაციებით მოცვის მაჩვენებელი (რისკ-ჯგუფების გათვალისწინებით)
<ul style="list-style-type: none"> გეოგრაფიული განფენილობა (ხელმისაწვდომობა) <ol style="list-style-type: none"> რეგიონალური ოფისების მაჩვენებელი 1 მოსახლეზე

51 00: პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 3.5	პროგრამის ასიგნება: 41.7 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, C, D, E	
<p>თანამედროვე მსოფლიოში პერსონალურ მონაცემთა დაცვა წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს. შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის აპარატის პროგრამა პირდაპირ აისახება გენდერული თანასწორობის ხუთივე კატეგორიაზე. პერსონალური მონაცემების დაცვა არის ერთ-ერთი გარანტი პიროვნულ და ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე. შესაბამისად, მოცემული პროგრამა მნიშვნელოვნად ზრდის როგორც ქალთა ისე მამაკაცთა შესაძლებლობას იცხოვრონ დაცულ გარემოში. მეტიც, უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალთა როლზე საზოგადოებასა და ოჯახში, მათ ჩართულობაზე სოციალური და პოლიტიკური სისტემის ფორმირების პროცესში.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> სამართალდარღვევათა სიხშირე (გამოვლენილ სამართალდარღვევათა ფარდობა ინსპექტირებათა ჯამურ რაოდენობასთან) ბენეფიციართა კმაყოფილების ხარისხი 		
შუალედური შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> მონაცემთა მაკონტროლებლების მოცვის მაჩვენებელი (პრიორიტეტული სექტორების გათვალისწინებით): <ol style="list-style-type: none"> კონსულტაციები ინსპექტირება მოქალაქეთა მოცვის მაჩვენებელი (რისკ-ჯგუფების გათვალისწინებით): <ol style="list-style-type: none"> კონსულტაციები მიმართვიანობა 		

36 00: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 3.1	პროგრამის ასიგნება: 6.4 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, D, E	C
<p>იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა პირდაპირ აისახება პიროვნების წვდომაზე სამართლიან მართლმსაჯულებაზე (access to justice). სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციების ხელმისაწვდომობა პირდაპირ გავლენას ახდენს ქალთა პიროვნულ და ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე. აღნიშნული მიმართულებით ქალთა ცნობიერების ამაღლება, თავის მხრივ,</p>		

²⁰ საქმისწარმოების საწყისი ეტაპი, როდესაც ხდება განცხადებაში/საჩივარში დასმული საკითხის შესაბამისობის დადგენა საქართველოს სახალხო დამცველის კომპეტენციასთან (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმისწარმოების ერთიანი წესი)

აისახება მათ როლზე ოჯახსა და საზოგადოებაში. ყოველივე ეს კი არის წინაპირობა ქალთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა.
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:
<ul style="list-style-type: none"> სასამართლო საქმეების შედეგები მომსახურების ბენეფიციართა კმაყოფილების ხარისხი
შუალედური შედეგების ინდიკატორები:
<ul style="list-style-type: none"> ბენეფიციართა თანაფარდობა მიღებული დახმარების სფეროების მიხედვით გენდერულ ჭრილში (მაგ: ძალადობა, მემკვიდრეობა, იურიდიული დოკუმენტის შედგენა და ა.შ) კონსულტაციის მიმღებთა და საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარების მიმღებთა თანაფარდობა გენდერულ ჭრილში ხელმისაწვდომობა - გეოგრაფიული განფენილობა

50 00: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2	პროგრამის ასიგნება: 2.7 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, D	C, E
<p>შრომისა და დასაქმების პოლიტიკის შემუშავების პროცესში გენდერული ასპექტის გათვალისწინება არსებითად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და ქალთა სამუშაო ძალაში ჩართულობის პირდაპირი კავშირიდან გამომდინარე, შრომით კაპიტალსა და უმუშევრობის დონეზე გავლენის გათვალისწინებით. ქალთა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან გრძელვადიანი გამოთიშვა ან/და საერთოდ არ ჩართვა, მნიშვნელოვანწილად, დაკავშირებულია მათ გენდერულ როლსა და ოჯახში პასუხისმგებლობების არათანაბარ გადანაწილებასთან. აღნიშნული კი სტრუქტურული უმუშევრობის არსებობის ერთ-ერთი წინაპირობაა.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> საჯარო სამსახურში დასაქმების შესაძლებლობა - ახალი დასაქმებულების გენდერული კომპოზიცია (ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობა) ჰორიზონტალური დაყოფა (horizontal segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში საჯარო სექტორში დასაქმებულთა განსხვავებულ ფარდობას სფეროების(მიმართულებების) მიხედვით ცალკეული სტერეოტიპების გავლენით. ვერტიკალური დაყოფა (vertical segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში საჯარო სექტორში დასაქმებულთა ფარდობის განსხვავებულ დინამიკას პოზიციების(თანამდებობების) მიხედვით საჯარო სამსახურში კარიერული წინსვლის შესაძლებლობა - დაწინაურებულთა გენდერული კომპოზიცია (ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობა) საჯარო სამსახურში ანაზღაურების სხვაობა გენდერულ ჭრილში - წლიური საშუალო ანაზღაურება (თანაფარდობა) თანაბარი წვდომა და შესაძლებლობა, ჰქონდეთ მოქნილი, შრომითი პირობები (flexible working arrangements) - საშუალოდ წლიური ანაზღაურებული სამუშაო საათების თანაფარდობა გენდერულ ჭრილში თანაბარი წვდომა და შესაძლებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოზე - გენდერული შევიწროების ან/და დისკრიმინაციის შემთხვევათა მაჩვენებელი (თანაფარდობა) 		
შუალედური შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> არამმართველობით დონეზე დასაქმებულთა ფარდობა გენდერულ ჭრილში მმართველობით დონეზე, დონეების მიხედვით, დასაქმებულთა ფარდობა გენდერულ ჭრილში პრემიების და დანამატის გაცემის მაჩვენებელი გენდერულ ჭრილში(ქალთა და მამაკაცთა შრომის ანაზღაურებაში პრემიისა და დანამატის საშუალო %-ული წილის სხვაობა (ან თანაფარდობა)) საშუალო შვებულების (ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი) ხანგრძლივობის სხვაობა: <ul style="list-style-type: none"> 1. შვებულება ბავშვის მოვლის ან/და ბავშვის შვილად აყვანის გამო 		

2. შევებულემა პროფესიული განვითარებისთვის

პრიორიტეტი: იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

22 00: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 3.5	პროგრამის ასიგნება: 1.6 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, C, D, E	
<p>აღნიშნული პროგრამა პირდაპირ გავლენას ახდენს შესაძლებლობების 5-ვე კატეგორიაზე, ვინაიდან პროგრამის ერთ-ერთ უშუალო მიზანია სამიზნე ჯგუფებში გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ამ მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> სამიზნე ჯგუფებში ქალთა სოციალურ-ეკონომიკური აქტივობის და მობილიზაციის მაჩვენებელი (participation rate) 		
შუალედური შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> სამიზნე ჯგუფებში გენდერული თანასწორობის დარღვევის კუთხით გამოვლენილი შემთხვევებისა და გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა 		

34 01: იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 3.5	პროგრამის ასიგნება: 12.9 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, C, D, E	
<p>იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა მიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, რაც პირდაპირ კავშირშია მათ დაბალ სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობასა და მობილიზაციის მაჩვენებელთან, მოცემული პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბენეფიციართა შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი კეთილდღეობა. პროგრამა პირდაპირ გავლენას ახდენს გენდერულ თანასწორობაზე, არა მარტო იმიტომ, რომ კონფლიქტურ სიტუაციებში ქალი, როგორც წესი, ძალადობის მსხვერპლია, არამედ იმიტომ რომ მნიშვნელოვნად განსხვავებულია ქალის როლი კონფლიქტის გადაჭრის პროცესში. ამასთან, განსხვავებული გენდერული როლიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად განსხვავებულია ქალ და მამაკაც მიგრანტთა ყოფაც. მაგალითად, როგორც წესი, ქვეყნების საემიგრაციო პოლიტიკა ემყარება იმ სტერეოტიპს, რომ ოჯახის თავი არის მამაკაცი, და მიგრაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას სწორედ იგი იღებს, ქალი კი ამ პროცესში უფრო მოსალოდნელია მასზე დამოკიდებული იყოს.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> დევნილთა, ლტოლვილთა და/ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე ქალთა სოციალური-ეკონომიკური აქტივობის და მობილიზაციის მაჩვენებლები (participation rate) 		
შუალედური შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> სტრატეგიაში ან სამოქმედო გეგმაში და მარეგულირებელ ნორმებში დევნილთა, ლტოლვილთა და/ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, მიგრანტთა და ეკომიგრანტთა არსებული მდგომარეობის და საჭიროებების შეფასების გათვალისწინების გენდერული ასპექტის ჩართვა 		
<ul style="list-style-type: none"> დევნილთა, ლტოლვილთა და/ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე ქალებისათვის საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა 		

პრიორიტეტი: განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

32 01: განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.7	პროგრამის ასიგნება: 29.6 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, D,	C, E
<p>განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისას არსებითია გენდერული ასპექტების გათვალისწინება, ვინაიდან განათლება პირდაპირ კავშირშია პროფესიების უნართან დაამსხვრიოს ან/და შეცვალოს არსებული გენდერული სტერეოტიპები და დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი როლი როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივი და პოლიტიკური სისტემის ფორმირების პროცესში, დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს და დაიცვას საკუთარი პიროვნული შეხედულებები. ამასთან, განათლებაში ინვესტირება პირდაპირ უკავშირდება პროფესიების დასაქმებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობებს. შესაბამისად, განათლება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი პროფესიების ეკონომიკური დამოუკიდებლობისა. ეკონომიკური დამოუკიდებლობა კი არის წინაპირობა უსაფრთხო და სუფთა გარემოში ცხოვრებისა და მუშაობისა, ისევე როგორც პროფესიების ფიზიკური ხელშეუხებლობისა.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> • ჰორიზონტალური დაყოფა (horizontal segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილეთა განსხვავებულ ფარდობას მიმართულებების მიხედვით ცალკეული სტერეოტიპების გავლენით. • ვერტიკალური დაყოფა (vertical segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში მონაწილეთა ფარდობის განსხვავებულ დინამიკას განათლების დონეების/აკადემიური პოზიციების მიხედვით 		
შუალედური შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> • სამინისტროს სტრატეგიაში ან სამოქმედო გეგმაში და მარეგულირებელ ნორმებში გენდერული ასპექტის გათვალისწინება • სერვისების ხელმისაწვდომობა 		

32 02: სკოლამდელი და ზოგადი განათლება	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.7	პროგრამის ასიგნება: 678.1 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, D,	C, E
<p>აღნიშნული პროგრამა განათლების სფეროში, სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის პროგრამის მსგავსი გენდერული გავლენებით ხასიათდება. თუმცა ამ შემთხვევაში, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ განათლებაზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით კი ადრეულ ასაკში, მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის, როგორც თანასწორუფლებიან და გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალ მოქალაქედ ჩამოყალიბებას. შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამას აქვს პირდაპირი გავლენა პროფესიების ხელშეუხებლობაზე, მის როლზე საკუთარი და საზოგადოებრივი ცხოვრების, ისევე, როგორც სოციალური სისტემის ფორმირებაში.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> • მონაწილეობის მაჩვენებელი (participation rate) გენდერულ ჭრილში - საშუალო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის წილი 6-დან 17 წლამდე ასაკის მოსახლეობაში • ვერტიკალური დაყოფა (vertical segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში მონაწილეთა(მოსწავლეების და მასწავლებლების) ფარდობის განსხვავებულ დინამიკას განათლების საფეხურების/აკადემიური პოზიციების მიხედვით 		

<ul style="list-style-type: none"> საშუალო სკოლის დასრულების მაჩვენებელი (graduation rate) გენდერულ ჭრილში - შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში %-ული წილი იმ მე-9 კლასელთა რომლებმაც დაამთავრეს მე-12 კლასი (ანუ სკოლა დაამთავრა) მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი (achievement) გენდერულ ჭრილში - საშუალო შეფასება სკოლის დამამთავრებელ გამოცდებზე
შუალედური შედეგების ინდიკატორები:
<ul style="list-style-type: none"> ზოგადი განათლების საფეხურებზე ჩარიცხვის მაჩვენებელი (enrollment rate) (%-ული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში): <ol style="list-style-type: none"> დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური საშუალო საფეხური სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი (retention rate) - სასწავლო წლის დაწყებისას მე-12 კლასის მოსწავლეთა რაოდენობა შესაბამისი პროგრამის მე-9 კლასის მოსწავლეთა რაოდენობასთან %-ულად %-ული წილი იმ მოსწავლეების, რომლებიც სკოლის დამთავრების წელსვე გახდნენ სტუდენტები და მიიღეს 50 %-იანი ან მეტი მოცულობის სახელმწიფო გრანტი, გენდერულ ჭრილში კლასის დამრიგებელთა გენდერული კომპოზიცია: <ol style="list-style-type: none"> დაწყებითი საფეხური საბაზო საფეხური საშუალო საფეხური სკოლის დირექტორთა გენდერული კომპოზიცია

32 03 - პროფესიული განათლება	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.7	პროგრამის ასიგნება: 40.8 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, D	C, E
<p>აღნიშნული პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური ჩართულობის უზრუნველყოფის კუთხით, ვინაიდან იგი შესაძლებელია მოიაზრებოდეს, როგორც ურბანული და ელიტარული საგანმანათლებლო სისტემის ჩამანაცვლებელი მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს ამ კუთხით ჩართულობის ზრდას. ამასთან, აღნიშნული პროგრამის ეფექტიანობა პირდაპირ უკავშირდება შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას, რაც გულისხმობს, რომ იგი პირდაპირ და არსებით გავლენას უნდა ახდენდეს ამ მიმართულებით არსებულ ჰორიზონტალურ სეგრეგაციაზე. შესაბამისად, პროფესიული განათლების სახელმწიფო პროგრამა პირდაპირ გავლენას ახდენს ქალთა შესაძლებლობებზე აირჩიონ სასურველი საქმიანობა/პროფესია და მოიპოვონ ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რაც ცხადია პირდაპირ აისახება მათ ჩართულობაზე სოციალური სისტემის, ისევე, როგორც საკუთარი და სოციალური ცხოვრების ფორმირებაში. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვანია მათი ფიზიკური ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის და შესაბამისად ხელს უწყობს მათ უსაფრთხო და სუფთა გარემოში ცხოვრებასა და საქმიანობას.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> ჰორიზონტალური დაყოფა - პროფესიების(მიმართულებების) არჩევანი გენდერულ ჭრილში (differences in average shares of major occupational groups by sex) ცალკეული სტერეოტიპების გავლენით დასაქმების მაჩვენებელი (დასაქმებულთა ფარდობა კურსდამთავრებულებთან) გენდერულ ჭრილში 		
შუალედური შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> მოცვის მაჩვენებელი (აპლიკაციების ფარდობა ადგილების რაოდენობასთან) გენდერულ ჭრილში კურსების დასრულების დონე (completion rate) გენდერულ ჭრილში კურსებიდან გამორიცხვის(კურსის შეწყვეტის) დონე (dropout rate) გენდერულ ჭრილში გეოგრაფიული მოცვა - ხელმისაწვდომობა თითოეული სპეციალობისთვის საჭირო პროფესიული უნარებისა და საკვანძო კომპეტენციების 		

(სამეწარმეო უნარები, კომპიუტერული უნარები, კომუნიკაცია, უცხო ენა და სხვ) მიხედვით სტუდენტების დასაქმებადობა (დაბალი, საშუალო, მაღალი)		
32 04: უმაღლესი განათლება	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 3.0	პროგრამის ასიგნება: 133.8 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, D,	C, E
<p>აღნიშნული პროგრამა, განათლების სფეროში, სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის პროგრამის მსგავსი გენდერული გავლენებით ხასიათდება. თუმცა, ამ შემთხვევაში, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ არსებითაა უმაღლესი განათლების პირდაპირი გავლენა პროფესიულ სეგრეგაციაზე. რაც თავისმხრივ პირდაპირ აისახება ქალისა და მამაკაცის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. აღნიშნული, ცხადია, გავლენას ახდენს ქალის გენდერულ როლზე ოჯახში ისე, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ჩართულობის ხარისხზე.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> • ჰორიზონტალური დაყოფა (horizontal segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში მონაწილეთა(სტუდენტებისა და პროფესორ/მასწავლებლების) განსხვავებულ ფარდობას პროფესიების(მიმართულებების) მიხედვით ცალკეული სტერეოტიპების გავლენით. • ვერტიკალური დაყოფა (vertical segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში მონაწილეთა(სტუდენტებისა და პროფესორ/მასწავლებლების) ფარდობის განსხვავებულ დინამიკას განათლების დონეების/აკადემიური პოზიციების მიხედვით 		
შუალედური შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> • სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი (retention rate) - დამამთავრებელი კურსის სტუდენტების ფარდობა განათლების შესაბამის საფეხურზე პირველი კურსის სტუდენტების ოდენობასთან • განათლების შესაბამის საფეხურზე მიღების მაჩვენებელი (enrollment rate) გენდერულ ჭრილში • განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრების მაჩვენებელი (graduation rate) გენდერულ ჭრილში 		

32 05: მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.7	პროგრამის ასიგნება: 65.6 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, D,	C, E
<p>პროფესიული სეგრეგაციის გავლენით მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა მნიშვნელოვან და პირდაპირ გავლენას ახდენს ქალთა ჩართულობაზე სოციალური და პოლიტიკური სისტემის ფორმირებაში. ხოლო სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, ქალთა ჩართულობის ზრდა მეცნიერებაში იძლევა დამატებითი შესაძლებლობებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა აქტიური მონაწილეობისა. აღნიშნული, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე და, მათსადაამე, მათ როლზე ოჯახსა და საზოგადოებაში. ყოველივე ეს კი ქმნის ფიზიკური ხელშეუხებლობისა და დაცულ გარემოში მუშაობისა და ცხოვრების მნიშვნელოვან წინაპირობას.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> • ჰორიზონტალური დაყოფა (horizontal segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში მონაწილეთა(დოქტორანტებისა და მეცნიერ/მკვლევარების) განსხვავებულ ფარდობას პროფესიების(მიმართულებების) მიხედვით ცალკეული სტერეოტიპების გავლენით. • ვერტიკალური დაყოფა (vertical segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში მონაწილეთა(დოქტორანტებისა და მეცნიერ/მკვლევარების) ფარდობის განსხვავებულ დინამიკას აკადემიური პოზიციების მიხედვით 		
შუალედური შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილეთა გენდერული კომპოზიცია 		

<ul style="list-style-type: none"> სამეცნიერო გრანტის მოპოვების მაჩვენებელი - გრანტის მფლობელთა %-ული წილი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულთა/დასაქმებულთა ჯამურ რაოდენობაში, გენდერულ ჭრილში
<ul style="list-style-type: none"> გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა - მკვლევართა რაოდენობა, რომელთაც აქვთ წვდომა შესაბამის ინფრასტრუქტურასთან (გენდერულ და რეგიონულ ჭრილში)

32 06: ინკლუზიური განათლება	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.3	პროგრამის ასიგნება: 5.1 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, D,	C, E
<p>აღნიშნული პროგრამა განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის პროგრამის მსგავსი გენდერული გავლენებით ხასიათდება. თუმცა, ამ შემთხვევაში, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ინკლუზიური განათლების სახელმწიფო პროგრამა პირდაპირ უნდა პასუხობდეს საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ ე.წ „ორმაგ დისკრიმინაციას“, რაც გულისხმობს რომ აღნიშნული პროგრამა პირდაპირ გავლენას ახდენს ყველა ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე, თუმცა ამ კუთხით ასევე საინტერესოა გენდერულ ჭრილში შესაძლებლობებისა და საჭიროებების შეფასება²¹.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> სსსმ პირების ფორმალურ განათლებაში მონაწილეობის დონე (participation rate) გენდერულ ჭრილში, იდენტიფიცირებული მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით სსსმ პირების ფორმალური განათლების შესაბამისი დონის დასრულების მაჩვენებელი (graduation rate) გენდერულ ჭრილში, იდენტიფიცირებული მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით 		
შუალედური შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> საჯარო სკოლებში სსსმ მოსწავლეთა განათლების პროგრამის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისას, ასევე მიზნობრივი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით პროგრამების/პროექტების შემუშავებისას და განხორციელებისას გენდერული ასპექტის გათვალისწინება მიმღებლობის დონე პროგრამის ბენეფიციარებისადმი მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით გენდერულ ჭრილში 		

32 08: ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის დონისძიებები	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.3	პროგრამის ასიგნება: 4.2 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, D,	C, E
<p>ადრეული ასაკიდან გოგონათა აქტიური მონაწილეობა კულტურულ-შემოწმედებით, შემეცნებით და გასართობ ღონისძიებებში, ზრუნვა მათი ცოდნისა და უნარების გაღრმავებაზე, მათთვის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა არსებით და პირდაპირ გავლენას ახდენს მათი პიროვნების ფორმირებაზე და, შესაბამისად, მათ აქტიურობაზე პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების, ისევე როგორც, პოლიტიკური და სოციალური სისტემის ფორმირების პროცესში. ყოველივე ეს კი არის მნიშვნელოვანი წინაპირობა მათი ფიზიკური ხელშეუხებლობისა და უსაფრთხო და სუფთა გარემოში ცხოვრებისა თუ საქმიანობისა.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> ჰორიზონტალური დაყოფა (horizontal segregation) - რაც გულისხმობს, რომ არსებობს ცალკეული სტერეოტიპები ქალისა და მამაკაცისათვის მისაღები/სასურველი პროგრამების/პროექტების შესახებ, 		

²¹ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) შეფასებით გენდერული უთანასწორობის გავლენით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ქალთა და მამაკაცთა წიგნიერების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება.

<p>და სწორედ აღნიშნული სტერეოტიპები განაპირობებს გოგონების და ბიჭების არჩევანსა და ჩართულობას ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებებში(შესაბამის პროგრამებში/პროექტებში)</p> <ul style="list-style-type: none"> • ახალგაზრდობში მოხალისეობის მაჩვენებელი (დაბალი, საშუალო, მაღალი) გენდერულ ჭრილში
<p>შუალედური შედეგების ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის მაჩვენებლები ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში პროგრამებში/პროექტებში გენდერულ ჭრილში • ახალგაზრდობში მოხალისეობის მაჩვენებელი (დაბალი, საშუალო, მაღალი) გენდერულ ჭრილში • გეოგრაფიული მოცვა - ხელმისაწვდომობა

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

<p>33 02: ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია</p>	<p>გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.7</p>	<p>პროგრამის ასიგნება: 80.8 მლნ ლარი</p>
<p>გენდერული გავლენა:</p>	<p>პირდაპირი</p>	<p>არაპირდაპირი</p>
<p>შესაძლებლობების კატეგორია:</p>	<p>A, B, D,</p>	<p>C, E</p>
<p>კულტურა აღიქმება, როგორც სიღარიბის აღმოფხვრისა და ეკონომიკური მდგრადობის მიღწევისათვის არსებითი წინაპირობა. კულტურული მრავალფეროვნება ადამიანისა და საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მას აქვს სოციალური გარდაქმნის უნარი, ვინაიდან იგი ახდენს გავლენას საზოგადოებრივი შეხედულებებისა და სტერეოტიპების ცვლილებაზე. ხელოვნება გამოხატვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, შესაბამისად არსებითია აღნიშნული პროგრამის გავლენა პიროვნების ხელშეუხებლობისა და თავისუფლების კუთხით. ამასთან, ხელოვნების სფეროში ქალთა ჩართულობა პირდაპირ უკავშირდება პროფესიულ სეგრეგაციასა და კარიერულ შესაძლებლობების არსებობას, რაც თავის მხრივ აისახება ქალის როლზე პოლიტიკური და სოციალური სისტემის ფორმირებისას. რაც შეეხება არაპირდაპირ გავლენას, ხელოვნების სფეროში ქალთა ჩართულობა და ამ კუთხით ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება არაპირდაპირ, თუმცა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალთა წვდომაზე უსაფრთხო და სუფთა გარემოზე, ისევე როგორც პიროვნების ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე.</p>		
<p>საბოლოო შედეგების ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიწოდების ღიობი (gender-gap in arts supply) - ხელოვნება გენდერული კომპოზიცია ან სექტორში დასაქმების მაჩვენებლები, გენდერულ ჭრილში • ანაზღაურების ღიობი (pay-gap) - სექტორში მოღვაწე/დასაქმებულ ქალთა და მამაკაცთა საშუალო ანაზღაურებას შორის სხვაობა • მოხმარების ღიობი (gender-gap in arts consumption) - კულტურულ ღონისძიებებზე დამსწრეთა გენდერული კომპოზიცია 		
<p>შუალედური შედეგების ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კულტურულ ღონისძიებებში ჩართვის მაჩვენებელი: <ol style="list-style-type: none"> 1. ღონისძიების ტიპების მიხედვით მონაწილეების გენდერული კომპოზიცია • საგრანტო დაფინანსების მოპოვების მაჩვენებელი საგრანტო პროგრამების ტიპების მიხედვით: <ol style="list-style-type: none"> 1. გრანტის მიმღებთა ფარდობა პროგრამაში მონაწილეთა ჯამურ რაოდენობასთან (გენდერულ ჭრილში) • შემოქმედებითი პროექტების დაფინანსების მაჩვენებელი პროექტების ტიპების მიხედვით: <ol style="list-style-type: none"> 1. დაფინანსებული პროექტების ფარდობა განაცხადების ჯამურ რაოდენობასთან (ავტორთა გენდერულ ჭრილში) • ხელმისაწვდომობა: <ol style="list-style-type: none"> 1. კულტურული ღონისძიებების გეოგრაფიული განფენილობა 		

33 03: სახელოვნებო და სასპორტო განათლების ხელშეწყობა	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.7	პროგრამის ასიგნება: 22.6 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, D,	C, E
<p>ისევე როგორც, სხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამები, აღნიშნულიც პირდაპირ კავშირშია პროგრამის უნართან დაამსხვრიოს ან/და შეცვალოს არსებული გენდერული სტერეოტიპები და დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი როლი როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივი და პოლიტიკური სისტემის ფორმირების პროცესში, დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს და დაიცვას საკუთარი პიროვნული შეხედულებები. ამასთან, განათლებაში ინვესტირება პირდაპირ უკავშირდება პროგრამის დასაქმებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობებს.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> • ჰორიზონტალური დაყოფა (horizontal segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილეთა განსხვავებულ ფარდობას პროფესიების(მიმართულებების) მიხედვით ცალკეული სტერეოტიპების გავლენით. • მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი (achievement) გენდერულ ჭრილში- მოსწავლეთა წარმატება საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე. 		
შუალედური შედეგების ინდიკატორები:		
<ul style="list-style-type: none"> • სახელოვნებო,საგანმანათლებლო პროგრამების ჩარიცხვის მაჩვენებელი გენდერულ ჭრილში- პროგრამების ტიპების მიხედვით: <ol style="list-style-type: none"> 1. არაფორმალური განათლება 2. სასკოლო განათლება 3. უმაღლესი განათლება • სპორტულ საგანმანათლებლო პროგრამების ჩარიცხვის მაჩვენებელი გენდერულ ჭრილში - პროგრამების ტიპების მიხედვით <ol style="list-style-type: none"> 1. არაფორმალური განათლება 2. სასკოლო განათლება 3. უმაღლესი განათლება • სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების დამთავრების მაჩვენებელი გენდერულ ჭრილში - პროგრამების ტიპების მიხედვით: <ol style="list-style-type: none"> 1. არაფორმალური განათლება 2. სასკოლო განათლება 3. უმაღლესი განათლება • სპორტულ საგანმანათლებლო პროგრამების დამთავრების მაჩვენებელი გენდერულ ჭრილში- პროგრამების ტიპების მიხედვით: <ol style="list-style-type: none"> 1. სასკოლო განათლება 2. უმაღლესი განათლება 3. არაფორმალური განათლება 		

33 05: სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.7	პროგრამის ასიგნება: 124.6 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, D,	C, E
<p>სპორტი მოიაზრება არსებული გენდერული ნორმების ცვლილების ერთ-ერთ ქმედით მექანიზმად. კერძოდ, ქალთა ჩართულობა სპორტში ამსხვრევს ისეთ გენდერულ სტერეოტიპებს, როგორც არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქალები ფიზიკურად სუსტები არიან და ეს მათ ხელს უშლით სპორტის</p>		

ცალკეულ (უმრავლეს) სახეობებში წარმატების მიღწევაში; რომ სპორტული აქტივობა საზიანოა მათი ჯანმრთელობისთვის, კერძოდ რეპროდუქტიული ჯანმრთელობისთვის; რომ სპორტში ჩართულობა არ შეესაბამება ქალთა როლს საზოგადოებასა და ოჯახში. შესაბამისად, სპორტის განვითარების პოლიტიკაში გენდერული ასპექტის გათვალისწინება მნიშვნელოვნად ამცირებს მსგავსი სტიგმების არსებობის ალბათობას, რაც პირდაპირ აისახება ქალთა მოტივაციაზე და თვითშეფასებაზე. ზემოაღნიშნული თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროფესიულ სეგრეგაციაზე და არჩევანის თავისუფლებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვნად ზრდის ქალთა პიროვნული ხელშეუხებლობის შესაძლებლობებს, პირდაპირ გავლენას ახდენს მათ როლზე ოჯახსა და საზოგადოებაში, დაადებითად აისახება მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და მათ შესაძლებლობაზე ჩაერთონ პოლიტიკური თუ სოციალური სისტემის ფორმირებაში. ყოველივე ეს კი არის მნიშვნელოვანი წინაპირობა (არაპირდაპირი გავლენა) იცხოვრონ დაცულ და სუფთა გარემოში და უზრუნველყონ საკუთარი ფიზიკური ხელშეუხებლობა.

საბოლოო შედეგების ინდიკატორები:

- ჩართულობის დიობი (gender-gap in sports consumption) - სპორტულ აქტივობებში ჩართულობის გენდერული კომპოზიცია
- ქვეყნის ნაკრები გუნდების თანაბარი ხელშეწყობა - ქალთა და კაცთა ნაკრებების დაფინანსებასა და შრომის ანაზღაურებას შორის სხვაობა
- მწვრთნელ-მასწავლებელთა ანაზღაურების სხვაობა გენდერულ ჭრილში

შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- საქართველოს ნაკრებთა თანაფარდობა (ქალთა ნაკრებები და კაცთა ნაკრებები)
- საქართველოს პროფესიონალი სპორტსმენების გენდერული კომპოზიცია
- მწვრთნელ-მასწავლებელთა გენდერული კომპოზიცია
- სპორტის ფედერაციებში გადაწყვეტილების მიმღებთა/ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფ პირთა გენდერული კომპოზიცია

პრიორიტეტი: ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

35 05: შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.7	პროგრამის ასიგნება: 3.7 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B, D	C, E

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის შემუშავების პროცესში გენდერული ასპექტის გათვალისწინება არებითად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და ქალთა სამუშაო ძალაში ჩართულობის პირდაპირი კავშირიდან გამომდინარე, შრომით კაპიტალსა და უმუშევრობის დონეზე გავლენის გათვალისწინებით. ქალთა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან გრძელვადიანი გამოთიშვა ან/და არჩართვა, მნიშვნელოვანწილად, დაკავშირებულია მათ გენდერულ როლსა და ოჯახში პასუხისმგებლობების არათანაბარ გადანაწილებასთან. აღნიშნული კი სტრუქტურული უმუშევრობის არსებობის ერთ-ერთი წინაპირობაა. ქალთა დასაქმება პირდაპირ გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად აისახება მათი არჩევანის თავისუფლებაზე ოჯახსა და საზოგადოებაში ჩართულობასთან დაკავშირებით. ამასთან, ეკონომიკური დამოუკიდებლობა არის წინაპირობა უსაფრთხო და სუფთა გარემოში ცხოვრებისა და მუშაობისა, ისევე, როგორც პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობისა.

საბოლოო შედეგების ინდიკატორები:

- სამუშაო ძალის აქტივობის მაჩვენებელი, გენდერულ ჭრილში (labor-force participation rate)
- ჰორიზონტალური დაყოფა (horizontal segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში დასაქმებულთა განსხვავებული ფარდობას სფეროების(მიმართულებების) მიხედვით ცალკეული სტერეოტიპების გავლენით.
- ვერტიკალური დაყოფა (vertical segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში დასაქმებულთა

<p>ფარდობის განსხვავებულ დინამიკას პოზიციების(თანამდებობების) მიხედვით</p> <ul style="list-style-type: none"> • ანაზღაურების სხვაობა ქალი და მამაკაცი დასაქმებულებისათვის (სხვაობა საშუალო ანაზღაურებას შორის) • დასაქმებულთა წვდომა და შესაძლებლობა მოქნილი შრომით ურთიერთობებზე, გენდერულ ჭრილში (flexible working arrangements) - წლის ან კვირის განმავლობაში სამუშაო საათების საშუალო მაჩვენებლებს შორის სხვაობა • დასაქმებულთა წვდომა და შესაძლებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოზე, გენდერულ ჭრილში - დისკრიმინაციისა და შევიწროების შემთხვევათა რაოდენობა
შუალედური შედეგების ინდიკატორები:
<ul style="list-style-type: none"> • საშუალო პერიოდი სწავლის დასრულებიდან დასაქმებამდე გენდერულ ჭრილში • რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და რეგისტრირებულ სამუშაო ადგილებს შორის თანაფარდობა გენდერულ ჭრილში

პრიორიტეტი: მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

24 01: ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.3	პროგრამის ასიგნება: 22 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B,	D, C, E
<p>ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის/შემუშავების პროცესში გენდერული ასპექტის გათვალისწინება პირდაპირ უკავშირდება ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ აისახება მათ როლზე ოჯახსა და საზოგადოებაში. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა პირდაპირ გავლენას ახდენს ქალთა ჩართულობაზე საკუთარი და საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკური და სოციალური სისტემის ფორმირებაში. აღნიშნული მიმართულებებით ქალთა შესაძლებლობების ზრდა არაპირდაპირ, თუმცა მნიშვნელოვნად, აისახება მათ პიროვნულ და ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე, ისევე როგორც მათ შესაძლებლობაზე იცხოვრონ დაცულ და სუფთა გარემოში.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები²²:		
<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის დაგეგმვისას გენდერული ასპექტის გათვალისწინებით ეკონომიკის მოკლევადიანი სტიმულირებისა და საშუალო/გრძელვადიანი პოტენციური დონის ზრდის ხელშეწყობა 		

24 07: მეწარმეობის განვითარება	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.3	პროგრამის ასიგნება: 41.7 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B,	D, C, E
<p>მეწარმეობის განვითარების პროგრამა პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმების დონეზე. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა პირდაპირ გავლენას ახდენს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, რაც ასევე პირდაპირ აისახება მათ სოციალურ და პოლიტიკურ გაძლიერებაზე, ისევე, როგორც მათ შესაძლებლობებზე პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირებისას. რაც შეეხება</p>		

²² აღნიშნული პროგრამისათვის ცალკე არ იქნა მითითებული შეუღებულ შედეგების ინდიკატორები, რამდენადაც აღნიშნული იფარება სხვა პროგრამების შუალედური შედეგების ინდიკატორებით (მაგ. მეწარმეობის განვითარება (24 07), ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (24 08), შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (35 05)). შუალედური შედეგის ინდიკატორად შესაძლებელია მიჩნეულ იქნას გენდერული ასპექტის ეკონომიკურ აგრეგატებზე გავლენის შეფასების განხორციელება.

არაპირდაპირ გავლენებს, აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური გაძლიერება არის მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისა, რომ ქალებს ექნებათ თანაბარი წვდომა უსაფრთხო და სუფთა გარემოზე, პიროვნულ და ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე.

საბოლოო შედეგების ინდიკატორები:
<ul style="list-style-type: none"> • ჰორიზონტალური დაყოფა (horizontal segregation) - რაც გულისხმობს გენდერულ ჭრილში მეწარმეთა განსხვავებულ ფარდობას სფეროების(მიმართულებების) მიხედვით ცალკეული სტერეოტიპების გავლენით. • მეწარმე ქალთა აქტივობა (ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობა) • სესხის მქონე ქალი და მამაკაცი მეწარმეების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა (interest on debt financing) - ფინანსების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი
შუალედური შედეგების ინდიკატორები:
<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის მიერ დაფინანსებული ბიზნეს პროექტების ფარდობა (ქალი/მამაკაცი) • დაფინანსების მსურველთა განაცხადების რაოდენობათა ფარდობა (ქალი/მამაკაცი) • სამეწარმეო საქმიანობისთვის სესხის მქონე ქალი და მამაკაცი მეწარმეების თანაფარდობა • მოგება 1 თანამშრომელზე (profit per employee) • თანამშრომელთა ფარდობა (ქალ და მამაკაც მეწარმეთათვის) • საბანკო ანგარიშის მქონე მოქალაქეთა გენდერული კომპოზიცია

24 08: საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	გენდერული მნიშვნელოვნების ქულა: 2.3	პროგრამის ასიგნება: 5 მლნ ლარი
გენდერული გავლენა:	პირდაპირი	არაპირდაპირი
შესაძლებლობების კატეგორია:	A, B	D, C, E
<p>მიუხედავად იმის, რომ ინოვაციები და ტექნოლოგიები მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, ამ მიმართულებით ცნობიერების დონისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, გავლენა ყველა სოციალურ ჯგუფსა თუ ინდივიდზე არსებითად განსხვავებულია. პოლიტიკის შემუშავების პროცესში გენდერული ასპექტის გათვალისწინებით, იზრდება ქალთა შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკური თუ სოციალური სისტემის ფორმირებაში, ისევე როგორც მათი ეკონომიკური გაძლიერებისა²³, ვინაიდან არსებითად იზრდება მათი წვდომა ინფორმაციასა და გამოხატვის თავისუფლება. აღნიშნული კი, თავის მხრივ, არის მნიშვნელოვანი წინაპირობა უსაფრთხო და სუფთა გარემოში ცხოვრებისა და მუშაობისა, ისევე როგორც პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობისა.</p>		
საბოლოო შედეგების ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • ჰორიზონტალური დაყოფა (horizontal segregation) - რაც გულისხმობს, რომ არსებობს ცალკეული სტერეოტიპები ქალისა და მამაკაცისათვის მისაღები/სასურველი პროგრამების/პროექტების შესახებ, და სწორედ აღნიშნული სტერეოტიპები განაპირობებს მამაკაცებისა და ქალების არჩევანსა და ჩართულობას პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში (პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობის დონე (participation rate) გენდერულ ჭრილში პროექტების მიხედვით) 	
შუალედური შედეგების ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში მიმართვიანობის/დაინტერესების დონე გენდერულ ჭრილში პროექტების მიხედვით 	

²³ United Nations Division for the Advancement of Women. (2005). Gender Equality and Empowerment of Women Through ICT.

დანართი: არსებითად მაღალი და მაღალი გენდერული მნიშვნელოვნების მქონე პროგრამების ღონისძიებები და მონაცემები²⁴

30 01: საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გადრმავება
ღონისძიებები:
<ul style="list-style-type: none"> • კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებით მოცვის (coverage) მაჩვენებელი სამართალდამცველებში • ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებით მოცვის (coverage) მაჩვენებელი მოსახლეობაში (რისკ ჯგუფებში)
მონაცემები:
<ul style="list-style-type: none"> • გენდერულად მოტივირებული ან/და ოჯახში ძალადობის, ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ შემოსული შეტყობინებების რაოდენობა; • შეტყობინებების ჯამური რაოდენობა • გენდერულად მოტივირებული (მათ შორის ოჯახში ძალადობის, და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)) მიმართულებით გახსნილი საქმეების რაოდენობა • გენდერულად მოტივირებული (მათ შორის ოჯახში ძალადობის, და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)) მიმართულებით რეგისტრირებული საქმეების რაოდენობა • ოფისების რაოდენობა რეგიონების მიხედვით • სამართალდამცველების რაოდენობა რეგიონების მიხედვით • რეგიონების კლასიფიკაცია ყველაზე მაღლიდან ყველაზე დაბალი რისკის მქონედ • სახელმწიფო თავშესაფრების რაოდენობა; • თავშესაფრებში განთავსებულ მსხვერპლთა რაოდენობა; • გენდერულად მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ გამოყენებული საკანონმდებლო გარანტიების, დამცავი და შემაკავებელი ორდერების რაოდენობა • თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით შსს-ს აკადემიაში ყოველწლიურად ჩატარებული სასწავლო კურსების რაოდენობა გენდერულად მოტივირებული ან/და ოჯახში ძალადობის, ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ; • აკადემიაში კურსების საშუალო წლიური რაოდენობა • კურსების მონაწილეთა რაოდენობა • სამართალდამცველთა რაოდენობა • გენდერულად მოტივირებული დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით წამოებული კამპანიების რაოდენობა და ტიპები (მაგ: საკონსულტაციო ცხელი ხაზების რაოდენობა და მომსახურების საათები); • კამპანიის მონაწილეთა ოდენობა რისკ-ჯგუფების მიხედვით
26 07: დანაშაულის პრევენცია და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია
ღონისძიებები:
<ul style="list-style-type: none"> • ცნობიერების ამაღლების მიზნით ცენტრის შესახებ საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა რეგიონულ ჭრილში

²⁴ დანართი მიზნად ისახავს წარმოადგინოს ის ძირითადი მონაცემები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა მოხდეს შუალედური/საბოლოო შედეგების შესახებ პირველადი ინფორმაციის წარმოდგენა. აღნიშნული არ მოიაზრებს გენდერული ანალიზისთვის პირველადი მონაცემების შეგროვების ტექნიკური ასპექტების შესახებ მითითებებს ან/და პირველადი მონაცემების მხოლოდ გენდერულ ჭრილში შეგროვებას. აქვე გასათვალისწინებელია, რომ გენდერული ანალიზის მიზნებისათვის(მ.შ. საჭიროების შემთხვევაში რეგრესიული ანალიზის განსახორციელებლად) შესაძლებელია საჭირო გახდეს ცვლადად სტანდარტული არაგენდერული მონაცემების გამოყენება და ქვემოთწარმოდგენილი დანართი არ ისახავს მიზნად წარმოადგინოს ამ მიმართულებით ყველა შესაძლო ცვლადის შესახებ ინფორმაცია.

- დანაშაულის პრევენციის მიმართულებით კვლევების არსებობა/მომზადება გენდერულ ჭრილში და შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქველმოქმედო აქციების რაოდენობა დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქველმოქმედო აქციების ბენეფიციართა რაოდენობა გენდერულ ჭრილში

მონაცემები:

- პატიმართა ჯამური რაოდენობა (ან პოტენციურ ბენეფიციართა ჯამური რაოდენობა)
- სოციალურ მუშაკებთან შეხვედრილ პატიმართა რაოდენობა
- ანალოგიური ინფორმაცია პატიმართა ოჯახებზე
- პროგრამის მიმართულების ჯამური რაოდენობა
- პროგრამაში ჩართულ პირთა ჯამური რაოდენობა
- ბენეფიციართა რაოდენობა მომსახურების სახეების მიხედვით

27 02: სრულყოფილი პრობაციის სისტემა

ღონისძიებები:

- კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებით მოცვის (coverage) მაჩვენებელი სამართალდამცველებში
- სავალდებულო და ნებაყოფლობით სარეაბილიტაციო ღონისძიებების რაოდენობა ტიპების (სახეების) მიხედვით

მონაცემები:

- პრობაციის ბიუროს მიერ განხილული პატიმართა პირადი საქმეების რაოდენობა
- ბიუროს შუამდგომლობის რაოდენობა
- კომისიის დადებითი გადაწყვეტილების რაოდენობა
- პრობაციონერთა (პროგრამაში მონაწილეთა) რაოდენობა (დაჯგუფებული რისკის მიხედვით)
- ნებაყოფლობით სარეაბილიტაციო ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა
- სავალდებულო სარეაბილიტაციო ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა
- პრობაციის ბიუროს ოფისების რაოდენობა რეგიონულ ჭრილში
- კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების რაოდენობა
- კურსების მონაწილეთა რაოდენობა
- თანამშრომელთა ჯამური რაოდენობა

51 00: პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

ღონისძიებები:

- ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებით მოცვის (coverage) მაჩვენებელი ფიზიკურ-პირებში (რისკ ჯგუფების გათვალისწინებით)
- ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებით მოცვის (coverage) მაჩვენებელი კერძო და საჯარო ორგანიზაციებში პრიორიტეტული სექტორების გათვალისწინებით)
- კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებით მოცვის (coverage) მაჩვენებელი აპარატის თანამშრომლებში

მონაცემები:

- საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის გაწეული კონსულტაციების რაოდენობა სექტორების მითითებით
- მოქალაქეებისათვის გაწეული კონსულტაციების რაოდენობა გენდერულ ჭრილში
- ინსპექტირებების რაოდენობა სექტორების მითითებით
- ფიზიკური-პირების განცხადებების რაოდენობა გენდერულ ჭრილში
- პერსონალური მონაცემების დაცვის საკითებზე და ამ პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მნიშვნელობაზე საჯარო ლექციების, სემინარებისა და შეხვედრების რაოდენობა
- განხორციელებული საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა
- პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის აპარატის განვითარების სტრატეგიაში

<p>გენდერული ასპექტების გათვალისწინება</p> <ul style="list-style-type: none"> • თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების, კურსების რაოდენობა და ამ კურსებში ჩართული თანამშრომლების რაოდენობა
<p>36 00: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური</p>
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით განხორციელებული კურსების/გადამზადებები რაოდენობა, რომლებიც ეხებოდა გენდერული თანასწორობის ასპექტებს და მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (სასურველია მაჩვენებელი წარმოდგენილი იყოს რეგიონულ ჭრილშიც) • იურიდიული დახმარების მომსახურებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა და მოქალაქეების მოცვის მაჩვენებლები
<p>მონაცემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაწეული დახმარების რაოდენობა გენდერულ ჭრილში (საკითხის მითითებით) • კონსულტაციის მიმღებთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • ადვოკატის დახმარების მიმღებთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • ოფისების რაოდენობა რეგიონებში (რისკ ჯგუფების გათვალისწინებით)
<p>50 00: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო</p>
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების რაოდენობა და ტიპები
<p>მონაცემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • საჯარო მოხელეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • ხელშეკრულებით (შრომითი, ადმინისტრაციული) დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა თანამდებობრივი რანგების მიხედვით გენდერულ ჭრილში • მმართველობით დონეზე დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • მმართველობითი დონის რანგების (I და II) მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა სფეროების მიხედვით გენდერულ ჭრილში • პრემიისა და დანამატის ჯამური ოდენობა გენდერულ ჭრილში • პროფესიული განვითარების მიზნებისთვის აღებული შვებულების საშუალო ხანგრძლივობა გენდერულ ჭრილში • პროფესიული განვითარების მიზნებისთვის აღებული შვებულების რაოდენობა გენდერულ ჭრილში • ბავშვის მოვლის ან/და ბავშვის შვილად აყვანის მიზნით აღებული შვებულების საშუალო ხანგრძლივობა გენდერულ ჭრილში • ბავშვის მოვლის ან/და ბავშვის შვილად აყვანის მიზნით აღებული შვებულების რაოდენობა გენდერულ ჭრილში • ორსულობისა ან/და მშობიარობის მიზნით აღებული შვებულების საშუალო ხანგრძლივობა
<p>34 01: იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა</p>
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დევნილთა, ლტოლვილთა და/ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის (გენდერულ ჭრილში) ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული სასწავლო კურსების რაოდენობა • იმ თანამშრომელთა რაოდენობა, რომელთაც გაიარეს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ამ კურსების რაოდენობაც

მონაცემები:
<ul style="list-style-type: none"> • დევნილთა, ლტოლვილთა და/ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, მიგრანტთა და ეკომიგრანტთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში
32 02: სკოლამდელი და ზოგადი განათლება
ღონისძიებები:
<ul style="list-style-type: none"> • გენდერული თანასწორობის სხვადასხვა ასპექტთან (მათ შორის ძალადობასა და ჩაგვრასთან) დაკავშირებით მასწავლებლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებით სპეციფიკური ღონისძიებები (სსიპ მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი) • გენდერულ თანასწორობასთან, გენდერული ნიშნით ძალადობასთან და ბულინგთან დაკავშირებული მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით სპეციფიკური ღონისძიებები • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელთა გადამზადების პროგრამაში გენდერული თანასწორობის საკითხების ასახვა
მონაცემები:
<ul style="list-style-type: none"> • გენდერული თანასწორობის სხვადასხვა ასპექტთან (მათ შორის ძალადობასა და ჩაგვრასთან) დაკავშირებული მასწავლებლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა და ტიპები(სსიპ მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი) • გენდერულ თანასწორობასთან, გენდერული ნიშნით ძალადობასთან და ბულინგთან დაკავშირებული მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა და ტიპები • სკოლამდელი აღზრდის კერძო დაწესებულებების გადასახადი • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • საბაზო საფეხურის მოსწავლეთა რაოდენობა და მოსწრების მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში • საშუალო საფეხურის მოსწავლეთა რაოდენობა და მოსწრების მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში • დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • დამამთავრებელი კლასის იმ მოსწავლეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს სკოლის დამამთავრებელი გამოცდები • მოსწავლეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში, რომლებიც სკოლის დამამთავრებისთანავე გადაინაცვლეს განათლების შემდეგ საფეხურზე(უმადლესი განათლება, პროფესიული განათლება), მათ შორის, იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც მიიღეს სახელმწიფო გრანტი(იდენტიფიცირებული გრანტის რაოდენობის მიხედვით) • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამრიგებელ მასწავლებელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • დაწყებითი საფეხურის დამრიგებელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • საბაზო საფეხურის დამრიგებელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • საშუალო საფეხურის დამრიგებელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • სკოლის დირექტორთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში
32 03: პროფესიული განათლება
ღონისძიებები:
<ul style="list-style-type: none"> • კონკრეტული სპეციალობისათვის საჭირო პროფესიული უნარებითა და საკვანძო კომპეტენციებით (სამეწარმეო უნარები, კომპიუტერული უნარები, კომუნიკაცია, უცხო ენა და სხვ) სტუდენტების აღჭურვის და მათი დასაქმებადობის შეფასება
მონაცემები:
<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების განაწილება გენდერულ ჭრილში • პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების სახელმწიფო დაფინანსების განაწილება გენდერულ ჭრილში

- შრომის ბაზრის ბოლო კვლევის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული სამუშაო ძალის განაწილება გენდერულ ჭრილში
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების მონაცემები გენდერულ ჭრილში
- საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის (შშმპ, სსმპ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, დევნილები, პატიმრები, პრობაციონერები, განათლების სისტემის მიღმა დარჩენილები და ა.შ) პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა გენდერულ ჭრილში
- პროფესიული განათლების მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების განაწილება გენდერულ ჭრილში
- პროფესიული განათლების დუალური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების განაწილება გენდერულ ჭრილში

32 04: უმაღლესი განათლება

ღონისძიებები:

- პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით კამპანიების, საჯარო ლექციებისა და სემინარების განხორციელება

მონაცემები:

- დამამთავრებელი კურსის სტუდენტების რაოდენობა გენდერულ ჭრილში, პროგრამების მიხედვით
- პირველი კურსის სტუდენტების რაოდენობა გენდერულ ჭრილში, პროგრამების მიხედვით
- ახლადჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა გენდერულ ჭრილში (enrollment number), პროგრამების მიხედვით
- იმ სტუდენტების რაოდენობა გენდერულ ჭრილში, ვინც დაასრულა შესაბამისი პროგრამა (graduation number), პროგრამების მიხედვით
- კამპანიების, საჯარო ლექციების, სემინარების რაოდენობა და მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში

32 05: მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

ღონისძიებები:

- ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების, სამეცნიერო კონგრესებისა და კონფერენციების რაოდენობა

მონაცემები:

- სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებლად აპლიკანტთა (პროექტთა) რაოდენობა (გენდერულ ჭრილში)
- იმ მკვლევართა (გენდერულ ჭრილში) ან/და პროექტების რაოდენობა (პროექტის მონაწილეთა რაოდენობის მითითება გენდერულ ჭრილში) რომელთაც მოიპოვეს სამეცნიერო გრანტები
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილეთა რაოდენობა (გენდერულ ჭრილში) იმის მითითებით მოიპოვეს თუ არა საგრანტო დაფინანსება
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა (ავტორთა მითითება გენდერულ ჭრილში)
- აკადემიური პერსონალის მობილობის მაჩვენებელი (გენდერულ ჭრილში)

32 06: ინკლუზიური განათლება

ღონისძიებები:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთათვის განათლების პროგრამის ფორმირების/განხორციელებისას სპეციალური სანაგმანათლებლო საჭიროებების შეფასებისას გენდერულ ასპექტის გათვალისწინების მიზნებისათვის ჩართულ სპეციალისტთა მომზადება/გადამზადება
- პროგრამის შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებისას გენდერული ასპექტის გათვალისწინება
- მიზნობრივი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალიზაციის (სათემო) აქტივობების დაგეგმვის/განხორციელებისას გენდერული ასპექტის გათვალისწინება

მონაცემები:
<ul style="list-style-type: none"> • სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირთა(მიზნობრივი ჯგუფი) განაწილება გენდერულ ჭრილში მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით • სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა(ფორმალურ განათლებაში ჩართულთა) განაწილება გენდერულ ჭრილში ცალკეული კლასების მიხედვით • ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების მიერ სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები გენდერულ ჭრილში • სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ)მოსწავლეთა(ფორმალურ განათლებაში ჩართულთა) მოსწრების მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში ცალკეული კლასების მიხედვით • სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ)მოსწავლეთა(ფორმალურ განათლებაში ჩართულთა) განათლების შესაბამისი დონის დასრულების მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში • საჯარო სკოლებში სსსმ მოსწავლეთა განათლების პროგრამის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისას, ასევე მიზნობრივი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით პროგრამების/პროექტების ბენეფიციართა განაწილება გენდერულ ჭრილში, პროექტების/პროგრამების დონეზე
32 08: ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები
ღონისძიებები:
<ul style="list-style-type: none"> • მოხალისეობის კულტურის პოპულარობის საბაზისო შეფასება გენდერულ ჭრილში²⁵ • ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარობის საბაზისო შეფასება გენდერულ ჭრილში • ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებების(შესაბამისი პროგრამები/პროექტები) დაგეგმვის ეტაპზე გენდერული ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის პროფილური მიმართულებებისა და მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით • ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებების(შესაბამისი პროგრამები/პროექტები) ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვის/განხორციელებისას გენდერული ასპექტის გათვალისწინება
მონაცემები:
<ul style="list-style-type: none"> • ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებებში(შესაბამის პროგრამებში/პროექტებში) მონაწილეთა განაწილება გენდერულ ჭრილში, მათ შორის პროფილური მიმართულებებისა და მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით • ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებების(შესაბამისი პროგრამები/პროექტები) განხორციელებისა და მათში ჩართულობის მაჩვენებლები თვითმმართველი ერთეულების მიხედვით გენდერულ ჭრილში
33 02: ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია
ღონისძიებები:
<ul style="list-style-type: none"> • საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ღონისძიებებში გენდერული ასპექტის გათვალისწინება • თანამშრომელთა ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ლექციების/კურსების ჩამოყალიბებისას გენდერული ასპექტის გათვალისწინება
მონაცემები:
<ul style="list-style-type: none"> • კულტურული ღონისძიებების მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში - ღონისძიებათა ტიპების მიხედვით(მათ შორის, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალები, საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალები, საერთაშორისო კინოფესტივალები, საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალები, საერთაშორისო გამოფენები, საერთაშორისო კონკურსები, საერთაშორისო გამოცემები, საერთაშორისო ახალი დადგმები, საერთაშორისო საიუბილეო

²⁵ საბაზისო შეფასება დოკუმენტში ნიშნავს წინასწარ, ანუ რაიმე აქტივობის/ჩარევის განხორციელებამდე გაკეთებულ შეფასებას

<p>განათლების დაწესებულებები, უმაღლესი სახელოვნებო განათლების დაწესებულებები, უმაღლესი სასპორტო განათლების დაწესებულებები, უმაღლესი სასპორტო პროფესიული განათლების დაწესებულებები)</p>
<p>33 05: სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია</p>
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მასობრივი სპორტის პოპულარიზების ღონისძიებების განსაზღვრისა და განხორციელებისას გენდერული ასპექტის გათვალისწინება • აქტივობების შესახებ წარმოებული საინფორმაციო კამპანიების მოცვის მაჩვენებლები
<p>მონაცემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მასობრივი სპორტის პოპულარიზების ღონისძიებებით დაფარული მოსახლეობის განაწილება გენდერულ ჭრილში • მასობრივი სპორტის პოპულარიზების ღონისძიებებში მონაწილეების განაწილება გენდერულ ჭრილში, ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიხედვით • ქალთა და მამაკაცთა ნაკრებების რაოდენობა • რეგისტრირებულ ქალ და მამაკაც სპორტსმენთა რაოდენობა • ქალ და მამაკაც მწვრთნელ-მასწავლებელთა რაოდენობა • სპორტული ღონისძიებების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული კამპანიების რაოდენობა რეგიონებსა და ქალაქებში • სხვადასხვა სპორტის განვითარების პროგრამა/სტრატეგია, რომლებიც ითვალისწინებს გენდერულ ფაქტორს
<p>35 05: შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა</p>
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტრეფიკინგის საფრთხეების, სამუშაო ადგილზე ქალთა შევიწროებისა და ძალადობის, დისკრიმინაციის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა რეგიონებსა და ქალაქებში • შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის (მათ შორის გენდერის ნიშნით), პროფესიათა სეგრეგაციის შესახებ განხორციელებული კვლევების რაოდენობა • სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი უწყების თანამშრომელთა გადამზადება შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის შესახებ
<p>მონაცემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიღებული განათლების ბოლო საფეხურის დასრულებიდან დასაქმებამდე დროის საშუალო ინტერვალი • რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა გენდერულ-საკობრივ ჭრილში • რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა სფეროების მიხედვით, გენდერულ ჭრილში • დასაქმებულთა რაოდენობა სფეროების მიხედვით, გენდერულ ჭრილში • კერძო სექტორში არამმართველობით დონეზე დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • კერძო სექტორში მმართველობით დონეზე, დონეების მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში • კერძო სექტორში ბავშვის მოვლის ან/და ბავშვის შვილად აყვანის გამო შვებულებების ოდენობა და ხანგრძლივობა, გენდერულ ჭრილში • კერძო სექტორში პროფესიული განვითარებისთვის შვებულებების ოდენობა და ხანგრძლივობა, გენდერულ ჭრილში • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არმოსიარულე ბავშვების რაოდენობა თვითმმართველი ერთეულების მიხედვით • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არმოსიარულე ბავშვების მშობლების განაწილება დასაქმების მიხედვით (დასაქმებული-დაუსაქმებელი)
<p>24 07: მეწარმეობის განვითარება</p>

ღონისძიებები:
<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში გენდერული ასპექტის გათვალისწინება
მონაცემები:
<ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის მფლობელობის სტრუქტურის გენდერული დისტრიბუცია 1.ბიზნესის სამართლებრივი ფორმის და 2. თვითმმართველი ერთეულების მიხედვით • პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული მეწარმეების რაოდენობა გენდერულ ჭრილში • პროგრამის დაფინანსების მისაღებად მიერ შეტანილი განაცხადების რაოდენობა გენდერულ ჭრილში • „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის უძრავი ქონების კომპონენტით სარგებლობის მონაცემები გენდერულ ჭრილში • სესხის მქონე მეწარმეების რაოდენობა გენდერულ ჭრილში • ექსპორტიორი მეწარმეების რაოდენობა გენდერულ ჭრილში • მეწარმეთა მიერ საშუალო დასაქმების მაჩვენებელი გენდერულ ჭრილში • საშუალო მოგება მეწარმეებისთვის გენდერულ ჭრილში • პროგრამის შესახებ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიების ტიპები და ოდენობა • პროგრამის ბიზნეს სერვის ცენტრების რაოდენობა რეგიონულ ჭრილში.
24 08: საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება
ღონისძიებები:
<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტების დაგეგმვის/განხორციელების პროცესში გენდერული ასპექტის გათვალისწინება
მონაცემები:
<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში მიმართვიანობის/დაინტერესების და მონაწილეობის დონე გენდერულ ჭრილში პროექტების მიხედვით(მათ შორის, „სტარტაპ საქართველო“, ფაბლაბ ტექნოპარკი, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოს სხვა პროექტები) • პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში მიმართვიანობის/დაინტერესების და მონაწილეობის დონე გენდერულ ჭრილში პროექტების მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების/რეგიონების დონეზე • პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში მიმართვიანობის/დაინტერესების და მონაწილეობის დონე გენდერულ ჭრილში პროფილური მიმართულებების მიხედვით